Arabesque

ეროვნული ბალეტის ჟურნალი №47/48




Your Network

PEOPLE'S BANK
სახალხო ბანკი

კულტურის
შენარჩუნებისთვის

No2(10)'08

Arabesque

Ballet Magazine

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე



გარეკანზე:

პირველ გვერდზე: სცენა ბალეტიდან „მარგარიტა და არმანი“

მეოთხე გვერდზე: „ტაისი“ (პა დე დე)
ნინო გოგუა, ლაშა ხოზაშვილი

ლადო ვაჩნაძის ფოტოები.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო
თეატრის საბალეტო დასის ჟურნალი

QUARTERLY MAGAZINE IN GEORGIAN ABOUT
THE BALLET COMPANY OF THE TBILISI Z. PALIASHVILI
OPERA AND BALLET STATE THEATRE

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი
ნინო ანანიაშვილი

ARTISTIC DIRECTOR OF THE BALLET COMPANY
NINO ANANIASHVILI

რედაქტორი	Editor
ილია თავგერიძე	ILIA TAVBERIDZE
ტექნიკური რედაქტორი	Technical Editor
ქეთევან ნოზაძე	KETEVAN NOZADZE

ნომერში გამოყენებულია
ლადო ვაჩნაძის, გია გოგატიშვილის,
ბალეტის მსახიობთა და ოპერისა და ბალეტის თეატრის
მუზეუმის ფოტოები.

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25
25, RUSTAVELI ave. 0108, TBILISI, GEORGIA

ტელ/TEL: +995 32 99 93 64

UDC(უაკ)792.8
A-70

ISSN 1512-3294

© 2008 JB Design

www.ballet.ge

02 BALLET-NEWS

04 გალა
თბილისში ბალეტის ამომავალი ვარსკვლავეები გამოარჩიეს

06 ლაურეატები
ევგენია ობრაზცოვა
ნინო მდივანი

07 ლაშა ხოზაშვილი

08 სტუმარი
ენტონი რასელ რობერტსი:
„მარგარიტა და არმანი“ დიდი მოცეკვავეების ბალეტია“

09 ქრისტოფერ კარი: „ეს ორიგინალთან ყველაზე დაახლოებული ვერსიაა“

10 გრანტ კოილი:
„მარგარიტა და არმანს“ წარმატება ექნება“

11 ახალი სპექტაკლები
ეშტონის ქორეოგრაფიის საღამო

14 მარგარიტა და არმანი
ილია თავბერიძე

17 მიმოხილვა
„გედების ტბიდან“ დაწყებული ტრიუმფი
თამარ მარუაშვილი

18 გასტროლი
„ამ დასს პოეტური სული
და სითბო გააჩნია“

25 სათავეებთან
ვიკი მეტრეველი
ნინო მდივანი

26 ხსოვნა
ბექარ მონავარდისაშვილი

27 SUMMARY

ნინო ანანიაშვილის გამოსვლები ნიუ-იორკში

ამერიკის ბალეტის თეატრმა საგაზაფხულო სეზონი 19 მაისს გალა-კონცერტით გახსნა. მეტროპოლიტან-ოპერაში დიდი საბალეტო წარმოდგენა გაიმართა, რომელშიც ABT-ის მიწვეული სოლისტები მონაწილეობდნენ. ნინო ანანიაშვილმა, ანხელ კორელასთან ერთად, იცეკვა პა დე დე „ჟიზელიდან“. პრიმა-ბალერინამ ასევე იცეკვა „დონ კიხოტში“, „გედების ტბასა“ და „ჟიზელში“.

ნინო ანანიაშვილი, ანხელ კორელა. „ჟიზელი“

�delakisa da vasil axmeteli chinetshi

შვედეთის სამეფო ბალეტის მიწვევით საბალეტო დასის წამყვანი სოლისტები ლალი კანდელაკი და ვასილ ახმეტელი საგასტროლოდ იმყოფებოდნენ ჩინეთში, სადაც მთავარი პარტიები შეასრულეს ბალეტში „გედები ტბა“. სპექტაკლები პეკინსა და შანხაიში გაიმართა.

ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოსაშვები საღამო

13-14 ივნისს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა ტრადიციულად ყოველწლიური გამოსაშვები საღამო გამართა. პროგრამა სამი ნაწილისაგან შედგებოდა. შტრაუსის მუსიკაზე ნუკრი მაღალაშვილის მიერ დადგმული კლას-კონცერტის შემდეგ, სასწავლებლის აღსაზრდელებმა წარმოადგინეს მეორე მოქმედების ფრაგმენტი პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედების ტბა“. ოდეტა-ოდილიას პარტია სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ანა გორგიაშვილმა შეასრულა. მას პარტნიორობას საბალეტო დასის მსახიობი დავით ანანელი უწევდა. გამოშვებისათვის დამდგმელმა ქორეოგრაფმა ნუკრი მაღალაშვილმა (ლიბრეტო მედეა მაღალაშვილის) დადგა ერთმოქმედებიანი ბალეტი „კონკიას სიზმარი“.

კონკიას პარტია იცეკვეს ანა გორგიაშვილმა და ანა ალბუთაშვილმა. ახალგაზრდა ყმაწვილის პარტიას კი საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი ლაშა ხოზაშვილი და დასის მსახიობი დავით ანანელი ასრულებდნენ.

გამოსაშვები საღამოს დამდგმელი ბალეტმაისტერი ნუკრი მაღალაშვილი გახლდათ. დაწვრილებით გამოსაშვები საღამოს შესახებ მომდევნო ნომერში მოგითხრობთ.

ოდეტა – ანა გორგიაშვილი. „გედების ტბა“

ნუკრი მაღალაშვილმა ანკარაში ახალი ბალეტი დადგა

ანკარის ოპერისა და ბალეტის თეატრში 23 თებერვალს ორი ერთმოქმედებიანი ბალეტის პრემიერა გაიმართა. მენდელსონის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და ბიზე-შჩედრინის „კარმენ-სიუიტა“ ანკარაში ქართველმა ქორეოგრაფმა, ჩვენი საბალეტო დასის პედაგოგმა ნუკრი მაღალაშვილმა დადგა (ქორეოგრაფის ასისტენტი მედეა მაღალაშვილი. დამდგმელი მხატვარი ისმაილ დედე). „ჩემთვის თურქეთში მუშაობა უცხო არ არის. წლების განმავლობაში, მედეასთან ერთად, ვმუშაობდი ანკარის კონსერვატორიაში და შეიძლება ითვას, ბალეტის მსახიობთა მთელი თაობები ჩვენი აღზრდილია. ისინი ახლა თურქეთის სხვადასხვა თეატრებში მუშაობენ. მთავარი პარტიების შემსრულებელი (ობერონი, ხოზე) ჩვენი აღზრდილია, ამჟამად ანკარის საბალეტო დასის პრემიერი ბახრი გიურჯინ. „კარმენ-სიუიტა“ ადრე მერსინში გვქონდა დადგმული. მაგრამ ახალმა მხატვრობამ სულ სხვანაირად წარმოაჩინა ბალეტი. „ზაფხულის ღამის სიზმარი“ კი ჩვენი სრულიად ახალი ნამუშევარია“ – განაცხადა „არაბესკთან“ საუბარში ნუკრი მაღალაშვილმა. პრემიერას დიდი წარმატება ჰქონდა. თეატრმა გადაწყვიტა სპექტაკლები მომავალ წელს ასპენდოზის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე წარმოადგინოს.

ქველმოქმედება

რამდენიმე წელია ნინო ანანიაშვილი თბილისის №1 ჩვილ ბავშვთა სახლს პერიოდულ დახმარებას უწევს. ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, 1 ივნისს, ჩვილ ბავშვთა სახლს, ნინო ანანიაშვილის სახელით, საზაფხულო ტანსაცმელი, თეთრეული, სხვადასხვა სახის ჰიგიენური საშუალებები და ტკბილეული გადასცეს. სახლის დირექციამ და პედაგოგებმა უდიდესი მადლიერება გამოხატეს პრიმა-ბალერინას ყურადღების გამო.

საჩუქრების გადაცემისას ჩვილ ბავშვთა სახლში

ნინო ანანიაშვილის საქველმოქმედო საქმიანობასთან დაკავშირებით ბალეტის ადმინისტრაციაში რამდენიმე ბარათი მოვიდა, რომელთაც ქვემოთ გაგაცნობთ:

თენგიზ ცერცვაძე, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ხელმძღვანელი: „მადლობას მოგახსენებთ აივ ინფიცირებული ბავშვებისათვის საახალწლო საჩუქრების გამოგზავნისათვის. ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს მზადყოფნას გამოხატოთ კეთილი ნება და გამოუცხადოთ თანადგომა იმ ადამიანებს, ვისაც ჯანმრთელობის პრობლემასთან ერთად მძიმე სოციალური თუ ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევა უხდებათ. იმედს გამოვთქვამთ, რომ თქვენსა და ცენტრს შორის არსებული ურთიერთობა და თანამშრომლობა გაგრძელდება“.

იზოლეტა ბოდოკია, შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის დირექტორი: „დიდ მადლობას მოგახსენებთ აივ ინფიცირებული ბავშვებისათვის საქველმოქმედო აქციის მოწყობის გამო. თქვენ მიერ გაღებულმა გულის სითბომ და ლამაზმა საჩუქრებმა ბედნიერების წუთები განაცდევინეს იმ პატარებს, რომელთაც დღეს ყველაზე მეტად სჭირდებათ საზოგადოების თანადგომა. თქვენი სიკეთე ბავშვებს არასოდეს დაავიწყდებათ“.

ზაურ ალადაშვილი, ასოციაცია „კათარზისის“ პრეზიდენტი: „ასოციაციისა და ბენეფიციართა სახელით გულწრფელ მადლობას გიხდით მსოფლიო საბალეტო პრემიერაზე მოწვევის გამო. მადლობა, რომ საშუალება მოგვეცით გვენახა მსოფლიო დონის სპექტაკლები, და თქვენი უბადლო შესრულება“.

ოლღა სპირანდი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მულტიეთნიკური ფორუმი-სტუდენტური ინიციატივა“ თავმჯდომარე: „უღრმეს მადლობას მოგახსენებთ გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის. 5 თებერვალს წარმოდგენილი სპექტაკლი, რომელზეც დასწრების საშუალებაც ჩვენ მოგვეცა, ჩვენი ორგანიზაციის წევრებისათვის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. გამოვხატავთ უდიდეს აღტაცებას თქვენი და საბალეტო დასის მსახიობების მიმართ“.

თბილისში ბალეტის ამომავალი კვისკვილავები გამოვლინდნენ

24 აპრილს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ჟილბერ ალბერისა და ნინო ანანიაშვილის საერთაშორისო საბალეტო პრემიის – „ვარსკვლავის“ პირველ ლაურეატთა დაჯილდოებასა და გალა-კონცერტზე მოსულ ასობით ბალეტის მოყვარულს მასპინძლობდა.

ცნობილმა შვეიცარიელმა იუველირმა ჟილბერ ალბერმა და პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილმა ახალგაზრდა, ნიჭიერი მოცეკვავეებისათვის 2003 წელს დააწესეს სპეციალური პრემია – „ვარსკვლავი“.

იუველირმა თავისი ნაკეთობა ზღვის ვარსკვლავის ფორმით დაამზადა, რადგან მას სურდა იგი ახლოს ყოფილიყო ბუნების მოვლენებთან. „რა თქმა უნდა, შემეძლო შემეხედა ცისთვის, მაგრამ ასეთი ლამაზი ვარსკვლავი არ შეიქმნებოდა“, – განაცხადა ჟილბერ ალბერმა. პრემია მაქმანისებურ ვარსკვლავს წარმოადგენს, რომელიც ვარდისფერი მარგალიტებისაგანაა დამზადებული და შავ პოსტამენტზეა დამაგრებული.

„ცნობილი ბალერინას ნინო ანანიაშვილის გაცნობის შემდეგ დამებადა იდეა ამ პრემიის შექმნის შესახებ, – ამბობს ჟილბერ ალბერი. ჩემი „ვარსკვლავი“ გახლავთ სიყვარულის გამოხატულება ბალეტის ახლანდელი და მომავალი ტალანტების მიმართ, იმ დიდი მოცეკვავეების დაფასება, რომლითაც ასე მდიდარია საბალეტო სამყარო. პრემიის შექმნა მე შთამაგონეს ისეთმა ბრწყინვალე ოსტატებმა როგორებიც იყვნენ მაია პლისეცკაია, ეკატერინა მაქსიმოვა, ვლადიმერ ვასილიევი, მიხეილ ლავროვსკი და სხვები“.

ჟილბერ ალბერისა და პრიმა-ბალერინას გაცნობა სრულიად მოულოდნელად მოსკოვში მოხდა, როცა იუველირს ნებართვა მისცეს კრემლში გამოეფინა საკუთარი ნამუშევრები (სიცოცხლეში ალბერის გარდა ასეთი ნებართვა მხოლოდ ფაბერჟეს ხვდა წილად). ნინო ანანიაშვილმა ის სპექტაკლზე მიიპატიჟა. მაშინ იგი „ბაიადერაში“ ცეკვავდა. მისი ხელოვნებით აღფრთოვანებული იუველირი პრიმა-ბალერინასთან წინადადებით მივიდა ბალეტისთვის რაღაც მნიშვნელოვანი გაეკეთებინა. ასე დაიბადა ამ პრემიის იდეა, ესკიზები კი მათ ერთობლივად შეიმუშავეს შვეიცარიაში.

„ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ პრემია მივცეთ არა წარმატებულ და გამოჩენილ მოცეკვავეებს, რაც უკვე ყველგან მიღებულია, არამედ ახალგაზრდებს, რომლებიც ახლა იწყებენ მოღვაწეობას, ანუ ბალეტის ამომავალ ვარსკვლავებს... ეს პრემია, ცხადია, ერთჯერადი არ იქნება, იგი ტრადიციული გახდება. ჩვენ ვაკვირდებით ახალგაზრდა მოცეკვავეების შესრულებას და რაკი პრემიას ორი ადამიანის სახელი ჰქვია, ერთად ვთანხმდებით არჩევანზე, – განაცხადა ნინო ანანიაშვილმა 21 აპრილს ამ მოვლენისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე. სამომავლოდ, ვფიქრობ, დაჯილდოების ცერემონიალი სხვა ქვეყანაშიც გაიმართოს. თუ ამას დიდი დაინტერესება მოჰყვება, შეიძლება იგი დიდ საბალეტო ფესტივალშიც გადაიზარდოს“.

© Photo by Gia Gogatishvili

პრემიის პირველი ლაურეატები გახდნენ მარიას თეატრის (სანკტ-პეტერბურგი) სოლისტი ევგენია ობრაზცოვა და თბილისის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი ლაშა ხოზაშვილი.

დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად თბილისში თავად ჟილბერ ალბერი ჩამოვიდა. საქართველოში იგი პირველად იმყოფებოდა და ნინო ანანიაშვილმა გადაწყვიტა გალა-კონცერტის პირველი მოქმედება ქართულ მელოდიებზე შექმნილი ბალეტის – „საგალობელისათვის“ დაეთმო. კონცერტის მეორე მოქმედება თავად პრემიის ლაურეატებმა გახსნეს. ევგენია ობრაზცოვამ და ლაშა ხოზაშვილმა შეასრულეს პა დე დე „ჟიზელის“ მეორე მოქმედებიდან. ჰაეროვანი და კლასიკური, პეტერბურგული საბალეტო სკოლისათვის დამახასიათებელი ზუსტი მოძრაობებით, ხელების ლამაზი მიმოხვრით გამოირჩეოდა ობრაზცოვას ჟიზელი. შესანიშნავი პარტნიორობა გაუწია მას ლაშა ხოზაშვილმა. ლაურეატებმა კონცერტზე კიდევ ერთი ნომერი შეასრულეს – პა დე დე „დონ კიხოტიდან“, სადაც ლაშა ხოზაშვილის შესაძლებლობები მთელი სისრულით გაბრწყინდა. შეიძლება ითქვას, რომ ასე ეფექტურად ბაზილი მას აქამდე არასდროს უცეკვია, მიუხედავად იმისა, რომ მის ცეკვას ენერგიულობა და სილაღე ყოველთვის ახასიათებს. ხოზაშვილის ბაზილი დაფრინავდა სცენაზე, რასაც თან ახლდა მაყურებლის მხურვალე აპლოდისმენტი.

გალა-კონცერტის პროგრამაში წარმოდგენილი იქნა ბალანჩინის რამდენიმე საბალეტო დუეტი. ნინო ოჩიაურმა და დავით ხოზაშვილმა ენერგიული და მხიარული „ტარანტელა“ იცეკვეს, სადაც მოგხიბლავდათ ნინო ოჩიაურის ინდივიდუალობა და დავით ხოზაშვილის იმპროვიზაციები. ანა მურადელმა და ვასილ ახმეტელმა „ჩაკონას“ ადაჟიოთი ლირიკული სურათი შექმნეს. ლალი კანდელაკმა და ირაკლი ბახტაძემ ჩაიკოვსკის პა დე დე შეასრულეს. ბალანჩინის ეს ვირტუოზული დუეტი მეორედ სრულდება ჩვენი თეატრის სცენაზე და როცა მოცეკვავეების დამაჯერებელი და ენერგიული შესრულება ვიხილეთ, ვიგრძენით როგორ მოგვნატრებია ბალანჩინის ეს შედევრი.

და ბოლოს, გალა-კონცერტის ნამდვილი სასწაული გახდა „მომაკვდავი გედი“ ნინო ანანიაშვილის შესრულებით. ეს უკვდავი საბალეტო მინიატურა არც თუ ისე ხშირად სრულდება ჩვენთან. პრიმა-ბალერინას შესრულებამ, მკლავების საოცარმა თრთოლვამ, სხეულის ნაზმა მიმოხვრამ და მასშტაბურმა საშემსრულებლო მანერამ განაცვიფრა გალა-კონცერტის მონაწილენი და მაყურებელი.

საღამოს დასასრულს ლაურეატებს თავად ჟილბერ ალბერმა მიმართა:

„სპეციალურად ჩამოვედი ჟენევიდან, რათა მენახა ეს მშვენიერი და თბილი ქალაქი და მონაწილეობა მიმეღო დაჯილდოებაში.

ბედნიერი ვარ და მოხარული, რომ ვდგავარ ამ სცენაზე და მადლობას ვუხდი მოცეკვავეებს. მადლობას მოვახსენებ ყველას იმ ძალისხმევისა და შრომისათვის, რომელიც თქვენ გასწიეთ, რათა ჩვენთვის ბედნიერება და სიამოვნება მოგვნიჭებინათ.

ეს ვარსკვლავი არის იმის ნიშანი, რომ თქვენი ხელოვნება არ არის ეფემერული და ის ნამდვილად რეალისტურია.

მადლობა ყველას, ვინც მობრძანდით. ეს არის იმის დასტური, რომ შეყვარებული ხართ ამ ხელოვნებაზე. იმედი მაქვს, ეს ზეციური ვარსკვლავი მიწიერ ბედნიერებას მოგიტანთ“.

სტუმარს მადლობა გადაუხადა თეატრის მმართველმა დავით საყვარელიძემ, რომელმაც ქალაქ თბილისის მერიის სახელით ჟილბერ ალბერს თავისუფლების ქანდაკების მინიატურული, მოოქროვილი ასლი და ქალაქის გერბი გადასცა საჩუქრად, ხოლო ლაურეატებს ფულადი პრემია.

პრემიის გადაცემა სცენაზე ულამაზესმა ფეიერვერკმა დაასრულა.

ევგენია ობრაზცოვა

„ნინო ანანიაშვილმა ჩემ შესახებ სხვათა ნაამბობიდან შეიტყო. მისი ზარი ჩემთვის მოულოდნელი და რასაკვირველია, სასიხარულო იყო“, – ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი მარიას თეატრის სოლისტმა, „ვარსკვლავის“ ლაურეატმა ევგენია ობრაზცოვამ.

მის ცხოვრებაში ყველაფერი წლების წინ დაიწყო. მშობლები – ნელი და ვიქტორ ობრაზცოვები მოცეკვავეები არიან. პატარა ჟენიას საბალეტო სკოლაში მიყვანა სწორედ მათი გადაწყვეტილება იყო.

„ვერ ვიტყვი, რომ თავიდან ძალიან მოწადინებული ვიყავი. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ კარგი მონაცემები მქონდა. უკვე მეორე-მესამე კლასიდან გავაცნობიერე, რომ ბალეტი ძალიან მომწონდა და გადავწყვიტე სერიოზულად მეფიქრა ჩემს საბალეტო კარიერაზე.

ევგენია ობრაზცოვა, ლაშა ხოზაშვილი. „დონ კიხოტი“ (პა დე დე)

ვაგანოვას სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ჩემი პირველი მასწავლებელი ლუდმილა სოფრონოვა გახლდათ, შემდეგ ორი წლის განმავლობაში ანა ზუბკოვსკაია, დავამთავრე მარინა ვასილიევას კლასი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მარიას თეატრში მივედი. პირველივე წელს ვიცეკვე ჯულიეტას პარტია სპექტაკლში „რომეო და ჯულიეტა“. ჩემთვის ეს უდიდესი წარმატებაა. მას მერე ჩემს რეპერტუარში არაერთი პარტია დაგროვდა. ვცდილობ, რომ კიდევ უფრო სრულვყო და გავამრავალფეროვნო ჩემი რეპერტუარი.

საერთოდ, კლასიკური ბალეტის თაყვანისმცემელი ვარ. მაგრამ მომწონს ნიჭიერად გაკეთებული, თანამედროვე მუსიკაზე დადგმული თანამედროვე ქორეოგრაფია. მთავარია საინტერესო იყოს.

რაც შეეხება გასტროლებს, ამ მხრივ ნამდვილად ძალიან ბედნიერი ვარ. მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სახელოვან დარბაზში მომიხდა გამოსვლა. საოცნებოდ კოვენტ გარდენი და გრანდ ოპერა მიმაჩნია. ხოლო როლებიდან ვოცნებობ ვიცეკვო მანონი ამავე სახელწოდების სპექტაკლში. სამწუხაროდ, ეს სპექტაკლი აღარ არის მარიას თეატრის რეპერტუარში, მაგრამ იმედი მაქვს, ის აღდგება“.

გასტროლებმა ჟენიას დიდი წარმატება მოუტანა. უცხოური პრესა აღფრთოვანებული წერდა მისი შესრულების გამო:

„ევგენია ობრაზცოვამ, კიროვის თეატრის უაღრესად ნიჭიერმა მოცეკვავემ, რომელიც სულ ახლახანს შეუერთდა მეორე სოლისტთა რიგებს წინა ზაფხულს, კიროვის თეატრის გასტროლებზე კოვენტ გარდენში, მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. ის იდეალური პროპორციებითა და მშვენიერი სახითაა დაჯილდოებული, მისი ცეკვა კი ნათელია და ახალგაზრდულ სიხალისესა და ბრწყინვალებას გამოხატავს“.

„ვარსკვლავი“ ძალიან სერიოზული ჯილდოა, რომელიც, ალბათ, ცოტათი შეცვლის ჩემს ცხოვრებას. ვეცდები, რომ ის მართლაც დამსახურებული იყოს და გავამართლო დიდი ნდობა, რომელიც ამ პრემიის გადმოცემით მომენიჭა. ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები საქართველოში, თბილისში, ამ არაჩვეულებრივ გარემოში. თბილი და ყურადღებიანი ხალხის გარემოცვაში. ამდენი სილამაზე და უჩვეულო სანახაობა, შესანიშნავი მასპინძლობა მართლაც წარმოუდგენელი სიხარულია. მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ნინოს, თეატრის კოლექტივს და ჩემს პარტნიორს, შესანიშნავ მოცეკვავეს ლაშა ხოზაშვილს“.

ნინო მდივანაძე

ლაშა ხოზაშვილი

ამერიკის შეერთებულ შტატებში საბალეტო დასის გასტროლზე თეატრის წამყვანი სოლისტის ლაშა ხოზაშვილის გამოსვლებს დიდი მოწონება ხვდა, რის შესახებაც თითქმის ყველა რეცენზიაშია აღნიშნული. ამ წარმატებას კიდევ ერთი სასიხარულო მოვლენა დაემატა – ლაშას, ევგენია ობრაზცოვასთან ერთად, საერთაშორისო პრემია „ვარსკვლავი“ მიენიჭა. ახალგაზრდა მოცეკვავეები ამ პრემიის პირველი ლაურეატები გახდნენ.

„ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პრემიაა. ცოტათი ვღელავ კიდევაც. მონდომებული ისედაც ვარ, მაგრამ ეს პრემია გახლავთ კიდევ უფრო მეტი მონდომების საწინდარი. ის დიდი სტიმულის მომცემი იქნება არა მარტო ჩემთვის, არამედ სხვებისთვისაც. პრემია 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს ენიჭებათ. ვერ ვიტყვი, რომ ყველაზე გამორჩეული ვარ, მაგრამ ერთ-ერთი ალბათ, მაინც ვარ მათ შორის“.

ლაშა, სრულიად ახალგაზრდა, 20 წლის იყო, როცა აპოლონის პარტიის შესრულება მიანდეს. აპოლონი დღემდე მისთვის ყველაზე საყვარელი პარტიაა, რომლის შესრულებისას მთელ ენერგიას ხარჯავს და ყოველთვის სხვადასხვანაირი ემოციით ასრულებს.

ბალანჩინის ქორეოგრაფიასთან შეხვედრა ლაშასთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მისი ბალეტების შესრულება საჭირო ნაბიჯია მოცეკვავის პროფესიული ზრდისათვის. ამერიკაში სწორედ ბალანჩინის “Duo Concertant"-ში გამოსვლამ მოუტანა წარმატება. თუმცა ლაშა წარმატებით გამოდის ბალანჩინის თითქმის ყველა ბალეტში, რომელიც ჩვენი თეატრის რეპერტუარშია წარმოდგენილი.

ქორეოგრაფების ოჯახში გაზრდილ ახალგაზრდა მოცეკვავეზე იმედებს ბავშვობიდანვე ამყარებდნენ. საბალეტო სასწავლებლის მესამე კურსის მოსწავლემ 2002 წლის თებერვალში ვახტანგ ჭაბუკიანის საიუბილეო საღამოზე იცეკვა ადაჟიო „ოტელოდან“. ერთ კვირაში მომზადებული პარტიის შესრულების დროს მას სცენაზე თავად ჭაბუკიანის კოსტიუმი ჩააცვეს. საღამოს წამყვანმა კოტე მახარაძემ საქებარი სიტყვები არ დაიშურა ლაშას მისამართით. ერთი წლის შემდეგ კი „მაკნატუნაში“ პრინცის პარტია შეასრულა. ეს იყო ლაშას დებიუტი დიდ სცენაზე. ახლა მის რეპერტუარში ოცდაათამდე სოლო და წამყვანი პარტიაა. ლაშას უფრო ენერგიულად შესასრულებელი პარტიები უყვარს, ამ დროს უფრო იხარჯება, უფრო მეტად ჩანს მისი ინდივიდუალობა. იგი თითქოს არასოდეს იღლება, მზად არის ნებისმიერ მომენტში გამოვიდეს სცენაზე, რისთვისაც მუდამ ფორმაშია.

მუსიკას ზუსტად გრძნობს, რაც ეხმარება მას ადვილად, თუნდაც მოკლე დროში მოამზადოს ახალი პარტია და მისი შესრულება ზუსტი, სიცოცხლით სავსე და ნათელი გახადოს, ჰაერში შესრულებული ნახტომი კი – მსუბუქი, თავისუფალი და ენერგიული.

ენტონი რასელ რობერტსი:

„მარგარიტა და არმანი" დიდი მოცეკვავეების ბალეტია

ინგლისის სამეფო ბალეტის ადმინისტრაციული დირექტორი ენტონი რასელ რობერტსი თბილისში მეორედ ჩამოვიდა. 2006 წელს ის „ორი მტრედის" პრემიერას დაესწრო. ამჟამად კი ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფიის საღამოს საპრემიერო სპექტაკლებზე დასასწრებად გვესტუმრა. მასთან საუბარი გენერალური რეპეტიციის წინ ჩავიწერეთ:

„ბალეტები, რომლებიც თბილისში იდგმება ეშტონმა სხვადასხვა დროს შექმნა. ამ პროგრამაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც „მარგარიტა და არმანია", რომელიც მან თავისი კარიერის შუაგულში, 1963 წელს, დადგა მარგო ფონტეინისა და რუდოლფ ნურიევისათვის. მათ შემდეგ მაყურებლის დიდი სურვილი იყო, რომ ბალეტი ხელახლა დადგმულიყო. ასეთი გადაწვეტილება ჩვენ მივიღეთ და სილვია გიილემს, პარიზის ოპერის პრიმა-ბალერინას მივანდეთ მარგარიტას პარტიის შესრულება. შემდეგ კიდევ ერთმა მოცეკვავემ იცეკვა ის. ამჯერად კი ნინო ანანაიშვილი იცეკვებს. ასე, რომ ეს ბალეტი დიდი მოცეკვავეებისაა. ამიტომ, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე მაყურებელს დიდი ზეიმი ელის. დავესწარი გენერალურ რეპეტიციას და მინდა გითხრათ, რომ კმაყოფილი ვარ. რთულია მარგარიტას პარტია. ვთვლი, რომ ნინომ კარგი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა.

„მარგარიტა და არმანზე" ლიცენზიას ბევრი გვთხოვს, მაგრამ ყველას არ ვეთანხმებით. უპირველესად დასის დონეს ვსწავლობთ. შემდეგ განისაზღვრება მოცეკვავეების დონე. ბევრ დასს ვუთხარით უარი. თუმცა გეტყვით, რომ ნინო ანანიაშვილის შემთხვევაში არ გვიყოყმანია.

ამჟამად, კოვენტ გარდენის რეპერტუარში „მარგარიტა და არმანი" არ არის. მაგრამ, ვგრძნობთ, რომ არის მაყურებლის მოთხოვნილება. ჩვენ ვემზადებით, რომ აღვადგინოთ ეს და ეშტონის სხვა ბალეტები. ახლა ეშტონის მემკვიდრეობაზეც ბევრს ვფიქრობთ. ადრე, როცა მის ბალეტებზე უფლება სამეფო დასს ჰქონდა, ამის აუცილებლობა არ იყო, სპეციალური ფონდი შეიქმნება, რომელიც ყველა საკითხს მოაწესრიგებს".

„მარგარიტა და არმანის" პრემიერის შემდეგ. 2008 წლის 9 მაისი

„დღესასწაულის“ პრემიერის შემდეგ. 2008 წლის 9 მაისი



ქრისტოფერ კარი:

„ეს ორიგინალთან ყველაზე დაახლოებული ვერსიაა"

ქრისტოფერ კარის მოღვაწეობა ინგლისის სამეფო ბალეტთანაა დაკავშირებული. 1967 წელს ის უკვე სამეფო ბალეტის საგასტროლო დასში ჩარიცხეს, 1970 წელს კი კოვენტ გარდენში სამეფო ბალეტის მოცეკვავეა. 1975 წელს სოლისტი გახდა, მოგვიანებით კი – უფროსი სოლისტი. ქრისტოფერ კარი 1990 წლამდე ცეკვავდა. 1983 წელს ბალეტმაისტერის თანაშემწე გახდა, 1984 წელს – სამეფო ბალეტის რეპეტიტორი, 1988 წელს – ბალეტმაისტერი, 2001 წლიდან კი იგი ხელმძღვანელობს სამეფო ბალეტის რეპერტუარის დიდი ნაწილის რეპეტიციებს და დგამს სხვადასხვა ბალეტს ლა სკალაში, ABT-ში, Boston Ballet-ში, ჰოლანდიის ნაციონალურ ბალეტში, Tokyo Ballet-სა და Joffrey Ballet-ში.

თბილისში ქრისტოფერ კარმა ეშტონის ერთმოქმედებიანი ბალეტი „დღესასწაული“ დადგა. იგი ბალეტის პრემიერაზე თეატრს მეორედ კვლავ ეწვია და გენერალური რეპეტიციის შემდეგ კმაყოფილი დარჩა დასის მიერ ჩატარებული სამუშაოთი:

„ეშტონი ზოგადად ძალიან მორიდებული ადამიანი იყო, თუმცა როგორც კი ახალი ბალეტის შექმნაზე იწყებდა მუშაობას, დასაწყისიდანვე ძალიან ნერვიულობდა. ჩვეულებრივ, როდესაც სტუდიაში შემოდიოდა სამუშაოდ ადვილი შესამჩნევი იყო, რომ მას უკვე მოფიქრებული ჰქონდა ყველაფერი, მუსიკა კი – გააზრებული. როცა დადგმას იწყებდა, ინდივიდუალურად მუშაობდა და კონკრეტული მოცეკვავისათვის დგამდა.

ახლა მის რამდენიმე ბალეტს ვდგამ სხვადასხვა კომპანიებში და კიდევ უფრო კარგად ვხვდები მისი ქორეოგრაფიის სიდიადეს.

ამ ბალეტში არასოდეს მიცეკვია, მაგრამ ყოველთვის ვაკვირდებოდი მას. იგი ყოველთვის სამი ერთმოქმედებიანი ბალეტის პროგრამაში იყო წარმოდგენილი და თუ პირველ-მეორეში ვცეკვავდი, აუცილებლად დავრჩებოდი და ვნახავდი მესამესაც. მერე, თანდათან დავიწყე ნოტაციის შესწავლა და კარგად გავერკვიე მის სტრუქტურაში. 10 წელია სამეფო ბალეტის რეპერტუარში ეს ბალეტი აღარ არის. საერთოდაც ძალიან ბევრ დასს არა აქვს დადგმული.

რასაც თბილისში ვდგამთ, ეს არის ორიგინალთან ყველაზე უფრო დაახლოებული ვერსია. შეიძლება ითქვას, ზუსტად ის, რაც სამეფო ბალეტში იდგმებოდა.

როცა ამ ბალეტს დგამდა, ეშტონმა განაცხადა, რომ მისთვის ყველაზე საყვარელი ბალეტი ეს არის პეტიპას მიერ შექმნილი „მძინარე მზეთუნახავის“ პირველი მოქმედება. როცა შთაგონება სჭირდებოდა, იგი სწორედ ამ დადგმას მიმართავდა. „დღესასწაულში“ სწორედ პეტიპას გავლენა იგრძნობა, უფრო ზუსტად კი ეს ბალეტი ეშტონმა პეტიპას მიხედვით გააკეთა. სათაურიც აქედანაა აღებული. პირდაპირი თარგმანით, როგორც თქვენთან მითხრეს, ეს ნიშნავს მიძღვნას, საჩუქარს დაბადების დღისადმი. თქვენი ვერსიაც კარგია. აქ მართლაც ყველაფერი სადღესასწაულოა. ბალეტი იმდენად რთული შესასრულებელია, რომ მოცეკვავეებმა კოვენტ გარდენში მას ხუმრობით შეარქვეს „შვიდი პატარძალი შვიდი ძმისათვის“, იმ დროს ახალგამოსული იყო ფილმი ამ სათაურით და ალბათ მისი გავლენით.

მოგვიანებით, როცა სამეფო ბალეტს რუდოლფ ნურიევი შემოუერთდა, ეშტონმა მისთვის სპეციალურად შექმნა მამაკაცის ვარიაცია, რომელიც ადრე არ იყო ამ ბალეტში. საქმე იმაშია, რომ ნურიევამდე სამეფო ბალეტს არ ჰყავდა გამორჩეული მამაკაცი მოცეკვავე. შემორჩენილი არ არის ამ ვარიაციის ჩანაწერი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ის ძალიან ვირტუოზული იქნებოდა.

დასთან მუშაობით კმაყოფილი ვარ. მოცეკვავეები სხვადასხვანაირად ასრულებდნენ ერთსა და იმავე მოძრაობებს. ასეთი ნიუანსების გასწორებაზე ვმუშაობ ახლა. კმაყოფილი ვარ ლალი კანდელაკთან მუშაობით, ის მართლაც ძალიან კარგი ბალერინაა, საინტერესო იყო ლაშა ხოზაშვილთან მუშაობა“.

გრანტ კოილი:

„მარგარიტა და არმანს" წარმატება ექნება

გრანტ კოილი 1987 წლიდან სამეფო ბალეტში წამყვან პედაგოგად მიიწვიეს. მას ნამუშევარი აქვს ბალანჩინთან, მაკმილანთან, ეშტონთან, პიტერ დარელთან და ბინტლისთან, დადგმული აქვს ბალეტები პარიზის ოპერის, კანადის ნაციონალური, ABT-ს, სან ფრანცისკოს, ბოსტონის, ბავარიის სახელწიფო ოპერის, ჰამბურგისა და უნგრეთის ნაციონალური საბალეტო დასებისათვის. თბილისში მან ფრედერიკ ეშტონის რამდენიმე პა დე დე და ერთმოქმედებიანი ბალეტი „მარგარიტა და არმანი" დადგა. ბალეტმაისტერმა პრემიერის წინ „არაბესკს" საკუთარი მოსაზრებანი გაუზირა:

„ეშტონის პროგრამის დადგმის გადაწყვეტილება ნინო ანანიაშვილს ეკუთვნის. ჩვენ მას კარგად ვიცნობთ, რადგან კოვენტ გარდენში ცეკვავდა ეშტონის ბალეტებს. შემდეგ ორი ბალეტი – „ამაო სიფრთხილე" და „ორი მტრედი" თბილისში დაიდგა. ახლა კი ახალი პროგრამა ჩამოვიტანეთ.

კმაყოფილი ვარ მუშაობის პროცესით. თავდაპირველად იყო სირთულეები. მაგრამ მთავარია, რომ მოცეკვავეები მონდომებულნი არიან, შრომისმოყვარენი.

ეშტონის პა დე დეები რთულია, ფიზიკურად ძლიერ მოცეკვავე მამაკაცებს მოითხოვს, რადგან მაღალი აწევებია. თავიდან თითქოს გაუჭირდათ, მაგრამ მუშაობის პროცესში ყველაფერი დალაგდა.

„მარგარიტა და არმანი" ძალიან მნიშვნელოვანი ბალეტია ეშტონის მემკვიდრეობაში. ტექნიკურად, მოძრაობების თვალსაზრისით, არაფერი შეცვლილი არ იქნება. იგი ორიგინალის მიხედვით დაიდგა. ინდივიდუალური იქნება სოლისტთა შესრულება. ნინო ანანიაშვილი მეოთხე ბალერინაა, ვინც მარგარიტას პარტიას იცეკვებს. მის ინდივიდუალიზმზე იქნება დამოკიდებული ამ პარტიის როგორ წაკითხვას შემოგვთავაზებს ის.

თავად ეს როლი, მოგეხსენებათ, მარგო ფონტეინისათვის შეიქმნა. ბევრი ასპექტი, ტექნიკური მოძრაობები, სახასიათო სცენები მისთვის იყო ადაპტირებული.

იანვარში ათი დღე ვიმუშავეთ, შემდეგ სოლისტებმა ჩემს გარეშე გააგრძელეს მუშაობა. აპრილში სამი კვირაა ერთად გავაგრძელეთ დეტალების დახვეწა, სცენაზე გადავიტანეთ და სინთეზი გავაკეთეთ განათებასთან, დეკორაციასთან.

კმაყოფილი ვარ მსახიობების მუშაობით. ვფიქრობ, ბალეტს წარმატება ექნება".

„მარგარიტა და არმანის" პრემიერის შემდეგ. 2008 წლის 9 მაისი

ეშტონის ქორეოგრაფიის საღამო

„დღესასწაული“

ეშტონის ქორეოგრაფია მსუბუქი, გასართობი და ხშირად გამოგონილიცაა. თუ პასტორალური „ამაო სიფრთხილე“ და ბანალურ სასიყვარულო ამბავზე აგებული „ორი მტრედი“ თბილისელ მაყურებელს მხოლოდ ბავშვებისა და მოზარდებისათვის საინტერესო ბალეტებად მიაჩნია, ეშტონის პროგრამას, რომელიც 156-ე სეზონის ბოლოს წარმოადგინეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, აქვს საფიქრალი, ზეიმური განწყობაც და მძიმე, ტრაგიკული დასასრულიც.

ინგლისის სამეფო ბალეტის ისტორია ეშტონის გარეშე წარმოუდგენელია. მისი, როგორც ქორეოგრაფის კარიერა იმ დასში მუშაობას უკავშირდება, რომელიც 1936 წლის 5 მაისს ნინეტ დე ვალუამ შექმნა და ჯერ სტედლერს უელსის დასის სახელით იყო ცნობილი, მოგვიანებით კი სამეფო ბალეტის სახელი მიიღო. ოცდახუთი წლის შემდეგ ეშტონმა ამ იუბილეს ერთმოქმედებიანი ბალეტი (“Birthday Offering”) მიუძღვნა, რომელიც მარიუს პეტიპას ქორეოგრაფიის სტილში გადაწყვიტა და ერთგვარი დივერტისმენტი შექმნა. მუსიკა ალექსანდრე გლაზუნოვის ბალეტიდან – „სამი სეზონი“ იქნა შერჩეული. ამ ბალეტით გაიხსნა სამმოქმედებიანი საპრემიერო საღამო, სადაც წარმოდგენილი იქნა რამდენიმე საბალეტო მინიატურა და ბალეტი „მარგარიტა და არმანი“.

ერთმოქმედებიანი ბალეტი „დღესასწაული“ გრან პა დე კატორზს (Quatorze) წარმოადგენს, რომელიც შვიდი ბალერინასა და მათი შვიდი პარტნიორის საკონცერტო ვალსით იწყება. ისინი სცენაზე მშვიდად, ამაყად გამოდიან და ფართო წრეს შემოივლიან. ხოლო შემდეგ თითოეული ბალერინა საკუთარ ვარიაციას ასრულებს. მამაკაცები „მაზურკას“ ცეკვავენ, რომელსაც წამყვანი სოლისტების ადაჟიო მოსდევს. დასასრულს კი კვლავ მეორდება ვალსი. ასეთი კონსტრუქცია აქვს ამ ბალეტს. იგი მე-19 საუკუნის სტილის კოსტიუმებითა და მინიმალური სადღესასწაულო დეკორაციითაა გაფორმებული. ბალეტსაც თბილისში ასე დაერქვა – „დღესასწაული“. მიძღვნა სადღესასწაულოა, საზეიმო – იუბილეს უკავშირდება და ამ საჩუქრის მომზადებისას ეშტონმა გადაწყვიტა პეტიპას ქორეოგრაფიისათვის მიემართა. ეს გადაწყვეტილება სიმბოლურიც უნდა ყოფილიყო. ინგლისის ბალეტი დავალებულია რუსული საბალეტო სკოლისაგან. ამიტომ გვაგონებს „დღესასწაულის“ კომპოზიცია პეტიპას „მძინარე მზეთუნახავის“ სამეფო სასახლის ანტურაჟს. მოცეკვავეთა ხაზები, ცალკეულ პათა კომბინაცია, საერთო ცეკვისათვის გამოყენებული დიაგონალი, როგორც დიდი მხატვრული ღერძი, მოქმედების, სანახაობისა და ცეკვის ღერძი, „მძინარე მზეთუნახავის“ კონსტრუქციული გეგმის შთაბეჭდილებას გვიტოვებს, ხოლო სოლო ვარიაციებს თავისი მოკლე ტექსტითა და კოსტიუმების ფერადოვნებით „მძინარე მზეთუნახავის“ პროლოგიდან ფერიათა დივერტისმენტის განწყობა შემოაქვს.

შვიდივე სოლო ვარიაცია ეშტონმა თავის დროზე თითოეული ბალერინის შესაძლებლობებს მოარგო. დამდგმელ ბალეტმაისტერს თბილისშიაც (ქრისტოფერ კარი) ასეთი ამოცანის გადაჭრა მოუხდა. თბილისის საბალეტო დასის სოლისტთა შესაძლებლობანი მან ზუსტად და შესაბამისად გამოიყენა. მაია დოლიძე მოკრძალებულია საკუთარ ვარიაციაში, დასამახსოვრებელია ნინო გოგუას გრაციოზული სოლო, ცისია ჩოლოყაშვილის ორმაგი ბრუნები, ნინო ოჩიაურის ნახტომები, ანა მურადელის სინაზე, ლანა მღებრიშვილის პლასტიკა. ლალი კანდელაკი, როგორც სოლისტი და ამ დივერტისმენტის წამყვანი ბალერინა, მისთვის ჩვეულ ტექნიკურად სუფთა და ვირტუოზულ შესრულებას გვთავაზობს.

მამაკაცთათვის სოლო პარტიები ბალეტში არ არის. შვიდი მამაკაცის „მაზურკა“ ნახტომებითა და პირუეტებითაა დატვირთული და შესასრულებლადაც არ არის ადვილი. მას უპირველესად ბიჭების სინქრონული ანსამბლი სჭირდება, რომელიც პრემიერაზე საკმაოდ ეფექტურად გამოიყურებოდა.

ფინალური ადაჟიო, რომელიც ლალი კანდელაკმა და ლაშა ხოზაშვილმა იცეკვეს, სადღესასწაულო განწყობას, სასახლის ეტიკეტით განსაზღვრულ ურთიერთდამოკიდებულებას წარმოადგენს. პა დე ბურეებით შემოდის სცენაზე ბალერინა, რომელსაც პარტნიორი აქ ელოდება. მათი ცეკვა, მოკრძალების, სითბოს, ურთიერთ-

ლალი კანდელაკი, ლაშა ხოზაშვილი.
„დღესასწაული“



პატივისცემის გამოხატვაა, რომელიც სინქრონული მოძრაობებითა და ლამაზი პორ დე ბრებით არის მოთხრობილი.

ლაშა ხოზაშვილს ამ პროგრამაში კიდევ ერთი, საკმაოდ საინტერესო პა დე დეს ცეკვა მოუხდა ნინო გოგუასთან ერთად. მასნეს ოპერა „ტაისი“-იდან აღებულ მედიტაციაზე ეშტონმა საბალეტო დუეტი 1971 წლის 21 მარტის გალა-კონცერტისათვის დადგა, რომელსაც ოპერაში წარმოდგენილ დრამატულ სიტუაციასთან (რომელშიც მუსიკას “Meditation religieuse” ჰქვია) არაფერი აკავშირებს. დუეტი „ბაიადერას“ აჩრდილების სცენის მსგავსია.

ანა მურადელი, ირაკლი გახტაძე.
„სილვია“ (პა დე დე)

მელოდიის დასწყისშივე სოლისტი მამაკაცი (ლაშა ხოზაშვილი) სცენაზე მარტო დგას; ბალერინა (ნინო გოგუა), რომელსაც პირბადე აქვს გადაფარებული, მცურავი პა დე ბურეებით შემოდის. დუეტის ტექსტი არ არის ძალიან ადვილი, თუმცა გოგუა-ხოზაშვილის წყვილისაგან უფრო რთული დუეტების შესრულებაც გვინახავს.

სტრავინსკის "Duo Concertant"-ის, ბალანჩინის ამ შედევრის გაცილებით რთული ფილოსოფიური ტექსტის წაკითხვა მათ მაღალ დონეზე შეძლეს. ეშტონთან მოძრაობები პლასტიკურია, აწევები – მაღალი, რაც მათ რო-

ცისია ჩოლოყაშვილი, დავით ხოზაშვილი.
„გაზაფხულის ხმები"

ნინო ოჩიაური. „კატა"

მანტიკულ სიყვარულს განასახიერებს და დამასრულებელი კოცნით ბოლოვდება. ამ დუეტის ემოცია გაგრძელდა „სილვია" პა დე დეში.

დელიბის „სილვიას" ლიბრეტო მითოლოგიურ თემაზეა აგებული. სილვია დიანას ერთ-ერთი ფერიაა, რომელიც მეცხვარე ამინტას სიყვარულს უარყოფს. საქმეში ეროსი ჩაერევა და მას ამინტას შეაყვარებს. მაგრამ სილვიას ბოროტი მონადირე, ორიონი მოიტაცებს. ეროსი მას დაიხსნის და შეყვარებულს უბრუნებს, თუმცა დიანა მათ ურთიერთობას კრძალავს, სანამ შეახსენებენ, რომ ერთ დროს მასაც უყვარდა ენდიმიონი. პა დე დე ამ ბალეტის მესამე მოქმედებაში სრულდება.

მხარზე აწეული პარტნიორით შემოვიდა სცენაზე ირაკლი ბახტაძე (ამინტა), რომელსაც ანა მურადელი (სილვია) ერთი მუხლით მხარზე ეყრდნობა. ისინი ერთმანეთს

სიყვარულის ამბავს უყვებიან, განცდილსა და გადატანილს, როცა ყველაფერი არა არჩევანის, არამედ ბედისწერის შედეგი იყო. ეშტონი არ ივიწყებს ამ ხაზს და საოცარი ქორეოგრაფიული ჟესტით გადმოსცემს მათ ურთიერთდამოკიდებულებას – ამინტა ხელების მკრთალი მოძრაობით სილვიას სახეს საკუთარი სახისაკენ ნაზად მიიზიდავს.

იოჰან შტრაუსის ვალსი "*Fruhlingstimmen*"-ს კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი ჩქარი ნაწილებით, გამომხატველი პაუზებითა და ნაწილებს შორის კონტრასტით ხასიათდება. დუეტი, რომელიც მასზე იქნა დადგმული, ვალსისთვის დამახასიათებელ, ძალდაუტანებელ მოძრაობებზეა აგებული. ცისია ჩოლოყაშვილი და დავით ხოზაშვილი სახასიათო ცეკვას გვთავაზობენ. მათი ლირიკული დუეტისათვის არა მარტო ცეკვას აქვს მნიშვნელობა, არამედ ემოციურ სახასიათო სტილს, იმპროვიზაციას, რასაც კარგად გადმოსცემდნენ როგორც მოკლე, სოლო ვარიაციების, ასევე სინქრონული ცეკვის დროს.

მეორე განყოფილებაში წარმოდგენილი დუეტების საერთო განწყობილებიდან თითქოს ერთგვარი გადახვევა იყო ოფენბახის მუსიკაზე შექმნილი საკონცერტო ნომერი „კატა". ეს მოკლე, იუმორისტული მინიატურა, რომლის ბოლოს სცენაზე მექანიკური თაგვიც კი შემორბის, სათამაშო სტიქიაში ამყოფებს მოცეკვავეს. ნინო ოჩიაურმა (მეორე დღეს ნომერი შეასრულა ლანა მღებრიშვილმა) სწრაფ მოძრაობებზე აგებული მინიატურის შესრულება დამაჯერებლად შეძლო.

მარგარიტა და არმანი

ილია თავგერიძე

მარგო ფონტეინისა და რუდოლფ ნურიევის სცენიდან წასვლის შემდეგ, რომელთათვისაც ეშტონმა 1963 წელს დადგა ბალეტი „მარგარიტა და არმანი“, იგი დიდხანს არავის უცეკვია. რამდენიმე წლის წინ მარგარიტას პარტიის შესრულება ინგლისის სამეფო თეატრში პარიზის ოპერის თეატრისა და საბალეტო სამყაროს ბოლო ათწლეულის აღიარებულ ვარსკვლავს სილვია გიილემს მიანდეს, ამავე თეატრის ეტუალთან ნიკოლა ლე რიშთან ერთად. ერთიც და მეორეც პარიზის ოპერის თეატრის კორდებალეტიდან თავად რუდოლფ ნურიევმა გამოარჩია და ვარსკვლავებად აქცია. „მარგარიტა და არმანსაც“ სწორედ ასეთი ბედი დაჰყვა – მას მხოლოდ ვარსკვლავები ცეკვავენ. ამიტომ საოცარი იმაში არაფერია, რომ კოვენტ გარდენის ბალეტის ხელმძღვანელმა და ფრედერიკ ეშტონის ბალეტების ლიცენზიის მფლობელმა ენტონი რასელ რობერტსმა ნინო ანანიაშვილს უფლება მისცა თბილისში დაედგა ეს ბალეტი და თავად შეესრულებინა მარგარიტას პარტია.

„მარგარიტა და არმანი“ ქალისთვის შექმნილი ბალეტია. ქორეოგრაფმა იგი მარგო ფონტეინს კარიერის დასასრულის სიმბოლოდ შეუქმნა და შეიძლება ვერც კი წარმოედგინა, რომ 44 წლის ბალერინასთვის იგი ყველაზე წარმატებული პარტია იქნებოდა; ხოლო ახალგაზრდა, 24 წლის რუდოლფ ნურიევისთვის, რომელმაც ბალეტის პრემიერამდე ორი წლით ადრე გააკეთა თავისუფლების ნახტომი პარიზის ლე ბურჟეს აეროპორტში, ყველაზე საუკეთესო დუეტი მათი უნიკალური რომანტიკული ურთიერთობის ისტორიაში.

დიუმას რომანის („ქალი კამელიებით“) მიხედვით ბალეტის შექმნაზე წელიწადზე მეტი ხნის ფიქრის შემდეგ, 1962 წლის აპრილის ერთ საღამოს, ეშტონმა რადიოთი ლისტის საფორტეპიანო სონატა მოისმინა და ბალეტის ნახევარსაათიანი ლირიკული კონსპექტი ამ ნაწარმოებზე ააგო. თანაც მარგარიტა გოტიეს პროტოტიპის – მარი დიუპლესის ისტორიაც შეისწავლა. ეს ცნობილი კურტიზანი ქალი, რომელიც ოცდასამი წლის ასაკში ტუბერკულოზისაგან გარდაიცვალა, დიუმას უყვარდა. ეშტონმა ისიც აღმოაჩინა, რომ დიუპლესსთან ლისტსაც ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობა. მან შესაძლებლად მიიჩნია, რომ დიუპლესი შეიძლებოდა ამ საფორტეპიანო ნაწარმოების შთაგონების წყარო ყოფილიყო. მაგრამ ეს ეშტონის სურვილი უფრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე რეალობა. ლისტის სი მინორული სონატა ფილოსოფიური მუსიკალური ნაწარმოებია, რომელშიც კრიტიკოსები გოეთეს „ფაუსტზე“ კომპოზიტორის კომენტარებსაც ხედავენ. სონატის გაორკესტრებული ვერსია კი, შეიძლება

ითქვას, ბალეტისათვის საკმაოდ ემოციური გამოდგა და ახალგაზრდა მუსიკოსმა თიკა კიკნაძემ ამ ვერსიის შესრულება, დამდგმელ დირიჟორთან დავით მუქერიასთან და თეატრის ორკესტრთან ერთად, საკმაოდ კარგად შეძლო.

ბალეტის სათაურიდანაც ჩანს, რომ აქცენტი მთავარ გმირებზეა გაკეთებული. მათი ურთიერთობა მოგონების ფორმითაა გადმოტანილი სცენაზე და ფინალიდან იწყება, როცა სარეცელზე მომაკვდავი მარგარიტა არმანის გამოჩენას ელოდება და იგონებს მასთან პირველ შეხვედრას, პარიზთან ახლოს, სოფელში გატარებულ ბედნიერ წუთებს, არმანის მამასთან შეხვედრას და განშორებას, მეჯლისზე მომხდარ შეურაცხყოფას. ბალეტს სიკვდილის სცენა ასრულებს.

ეშტონი თითქმის არ უშვებს სოლისტებს სცენიდან, სადაც დეკორაცია ნახევარწრიულ კარკასს წარმოადგენს, რომელიც ჩაფიქრებულია, როგორც გალია. აქ მარგარიტა საკუთარი ცხოვრებისეული გზის მიერ არის ჩამწყვდეული. მოქმედების დიდი ნაწილი კი სცენაზე მდგარი შეზლონგის გარშემო ვითარდება. არავითარი ზედმეტი დეკორაციული ელემენტი – შეზლონგისა და ჭაღების გარდა ერთადერთი ელემენტი თეთრი ფარდაა, რომელიც ჯერ პროლოგში ჩანს და ბოლო სცენაშიც ეშვება (სპექტაკლი თბილისში სპეციალურად კოვენტ გარდენიდან ჩამოსულმა ბალეტმაისტერმა გრანტ კოილიმ დადგა. დეკორაციები და კოსტიუმები, რომელიც სესილი ბიტონს ეკუთვნის, დავით მონავარდისაშვილმა და ნათია სირბილაძემ შეასრულეს).

პრემიერის შემდეგ მხოლოდ ერთი სპექტაკლის მიხედვით ხდება ხოლმე განსჯა. საპრემიერო სპექტაკლს კი მაინც სხვა ღელვა, სხვა ემოციები ახლავს თან. ბალეტშიც, ისევე როგორც დრამატულ თეატრში, მოცემული ტექსტის ინტერპრეტაცია ყოველ სპექტაკლზეც კი სხვადასხვანაირია. „მარგარიტა და არმანში“ ეს კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა, რადგან ცეკვისა და გარდასახვის ურთიერთთანხვედრა აქ გაცილებით ხაზგასმულია, ვიდრე სხვაგან. სამი საპრემიერო სპექტაკლის განმავლობაში ნინო ანანიაშვილმა ტრაგიკული კურტიზანი ქალის ცხოვრების გააზრება საკმაოდ ემოციურად შეძლო, ემოცია ახლდა მის თითოეულ მოძრაობას, თითოეულ პას. ბალეტის შინაარსი ოთხი პა დე დეს ქორეოგრაფიული ტექსტითაა მოთხრობილი. იგი რომანის სიუჟეტის უბრალო თხრობა კი არ არის, არამედ გრძნობათა მთელ წყებაზე აგებული მარგარიტასა და არმანის დიალოგები. ბალერინა ნახევარი საათის განმავლობაში ოთხჯერ იცვლის კოსტიუმს, ვარცხნილობას და უამრავ აქსესუარს.

პირველი ხალისიანი და ბედნიერი დუეტი, როცა ნინო ანანიაშვილი თეთრი კამელიებით მორთულ წითელ კაბაში ცეკვავს, არმანთან პირველ შეხვედრას წარმოადგენს. აქ ანანიაშვილის გმირი თითქოს ბავშვურიცაა, გამომწვევიც, მაგრამ ამავე დროს სევდიანიც, რადგან უკვე თან ახლავს მძიმე ავადმყოფობით გამოწვეული სევდა.

როცა არმანთან ერთად პარიზის ახლოს ატარებს ბედნიერ დღეებს, შეყვარებული და ერთგულია იგი. ამ დუეტს ის თეთრ კაბაში ცეკვავს და აქაც არ ცვლის თითქოს ონავრულ, სიყრმისეული იდილიის სახეს. მისი ცეკვის ძირითადი ღერძი არაბესკია, რომელსაც კონკრეტულ დატვირთვას აძლევს ბალერინა. პირველად მეოცნებეა მისი არაბესკი, სიყვარულისა და ბედნიერების გამომხატველი, შემდეგ, როცა არმანის მამას სთხოვს საიდუმლოდ შეინახოს მათი შეხვედრა, თხოვნისა და ვედრების გამომხატველია, ბოლოს კი პატიების ფორმა აქვს მას, როცა იგი საწოლზე არმანისკენ დაიხრება და არაბესკის ულამაზეს პოზაში დადგება.

ბოლო დუეტში (შავ კოსტიუმში), როცა კვლავ ძველ ცხოვრებას დაბრუნებულ მარგარიტას მეჯლისზე არმანი შეურაცხყოფას მიაყენებს, ანანიაშვილი უდიდესი კეთილშობილებითაა სავსე. მას არ შეუძლია განშორების ნამდვილი მიზეზი აუხსნას საყვარელ ადამიანს და შეურაცხყოფილი, ღირსებაშელახული, დამცირებული და მიტოვებული არსება მხრების საოცარი თრთოლვით, დამთრგუნველი პა დე ბურეებით კი არ გადის, თითქოს ქრება სცენიდან.

ალბათ მეტი დრამატიზმისთვის ეშტონმა მარგარიტას სიკვდილის სცენა დიუმას რომანის კინოვერსიას დაუახლოვა. მომაკვდავი მარგარიტა სარეცელზე არმანის გამოჩენას ელის და ისიც (ვასილ ახმეტელი) შავი, ფართო მოსასხამით, ჯულიეტას ცნობილი გარბენის მსგავსად

მარგარიტა – ნინო ანანიაშვილი, არმანი – ვასილ ახმეტელი, ჰერცოგი – პაატა ჩხიკვიშვილი

გადაკვეთს სცენას და მის საწოლთან აღმოჩნდება. ლისტის სონატის სასოწარკვეთილ ფინალში მარგარიტა არმანის მკლავებშია მოქცეული და უკანასკნელ ძალებს იკრებს, რომ თავისი სიყვარული კიდევ ერთხელ გამოხატოს. არმანის ხელში აწეული უმწეო, დასნეულებული მარგარიტა ხელების ნაზი მიმოხვრით ემშვიდობება მას და მუსიკის ბოლო ნოტთან ერთად ასრულებს სიცოცხლეს. ამ სცენაში ნინო ანანიაშვილი სრულებით სხვაგვარია, არანაირად არ ჰგავს წინა სამი დუეტის მარგარიტას. თითქოს ვიზუალურადაც შეცვლილია, ავადმყოფური იერით, რომელსაც ვარდისფერი პერანგი მეტ სიმშვიდეს სძენს. არ მინახავს იგი ჯულიეტას პარტიაში, მაგრამ დაახლოებით წარმოვიდგინე ბოლო სცენა „რომეო და ჯულიეტას“ ლავროვსკისეული ვერსიიდან, სადაც მას შეეძლება უდიდეს სიმაღლეზე აიყვანოს და ახალი ფერებით გაამდიდროს ეს ცნობილი პარტია.

არმანი ახალგაზრდა, მიმზიდველი შეყვარებულის ზოგადი პორტრეტია, რომელიც მთლიანად ნურიევის შესაძლებლობებზე იქნა დადგმული. არმანის პირველი შემოსვლაც კი სცენაზე, რომ არაფერი ვთქვათ ტექნიკურად რთულ მოძრაობებზე, კორსარის პა დე დეში ნურიევის გამოსვლას იმეორებს. ვასილ ახმეტელის წინაშე, რომელ-საც არმანის პარტიის შესრულება მიანდეს, რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა იდგა. ახმეტელმა ზუსტად მიაგნო პარტნიორისთვის საჭირო აქცენტებს და დახვეწილად შემოგვთავაზა არმანის ქორეოგრაფიული პარტიტურის წაკითხვა.

ნინო ანანიაშვილმა ამ ბალეტზე ფიქრი კარგა ხნის წინ დაიწყო. ასე, რომ ეს პრემიერა მისი დიდი ხნის ოცნების ასრულება გახდა. მან საკუთარი ხელწერა, საკუთარი გადაწყვეტა მოძებნა, მაგრამ არა ქორეოგრაფის ჩანაფიქრისაგან განსხვავებული. დრამატული განცდები თუ ემოციური საღებავები მთელ ბალეტში არსად არ მოგეჩვენებათ გადაჭარბებულად.

იქნებოდა თუ არა გამართლებული ნინო ანანიაშვილის მიერ მარგარიტას პარტიის შესრულება რამდენიმე წლის წინ? ნებისმიერი დიდი მოცეკვავის კარიერაში დგება დრო, როცა ის ისევ ცეკვავს როგორც წინათ, მაგრამ უფრო მეტს ფიქრობს საკუთარ ცეკვაზე. ასეთი მომენტი კი ნებისმიერ მოცეკვავეს უდგება. მარგარიტას პარტია ბევრ ფიქრს მოითხოვს. ნინო ანანიაშვილს, ვფიქრობთ, ახლა სწორედ ეს დრო უდგას.

„გედების ტბიდან“ დაწყებული ტრიუმფი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი ესტუმრა

15 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი ხუბუას ინიციატივით გაიმართა შეხვედრა პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილთან. როგორც რექტორმა გიორგი ხუბუამ შეხვედრის დასაწყისში აღნიშნა, ასეთი საოცარი შემოქმედის სტუმრობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი დღესასწაულია.

„ალბათ, ქვეყანაზე არ არსებობს აღტაცების ისეთი ეპითეტი, რომელიც ქალბატონი ნინოს ცეკვით აღფრთოვანებულ მაყურებელს არ ეთქვას... ნინო ანანიაშვილი მსოფლიოში ერთადერთი ბალერინაა, რომელიც ფლობს ოთხ უმაღლეს საერთაშორისო საბალეტო ჯილდოს, რომელიც დღემდე ერთადერთი შემთხვევაა საბალეტო სამყაროში.

ამჟამად იგი ქართული საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელია, რომელიც დღეს სულ სხვა რაკურსით წარდგება ჩვენ წინაშე“, – ასე წარუდგინა რექტორმა გიორგი ხუბუამ დამსწრე საზოგადოებას პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი, რომელმაც ჩვეული თავმდაბლობით განაცხადა, რომ მისი ბიოგრაფიიდან რამდენიმე დეტალი არც კი ახსოვდა.

„ძალიან დიდ მადლობას გიხდით ჩემი მოწვევისთვის. ასევე მინდა თქვენც ხშირად სტუმრობდეთ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს, რათა საკუთარი თვალით დარწმუნდეთ, თუ რისი გაკეთება შევძელით ამ ოთხი წლის განმავლობაში... საბალეტო სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვის დიდ თეატრში მიმიღეს. ჩემი საბალეტო კარიერა ერთი ასეთი შემთხვევით დაიწყო.

დიდი თეატრის საბალეტო დასი საგასტროლოდ იმყოფებოდა ჰამბურგში. „გედების ტბის“ სოლისტი უეცრად ავად გახდა და მისი შეცვლა თეატრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მე მომიწია, ორი დღის თავდაუზოგავი შრომით მიზანს მივაღწიე – სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო... ამ სპექტაკლის შემდეგ ჩემს კარიერაში „გედების ტბა“ ყოველთვის წარმატების სიმბოლოა.

საბალეტო ხელოვნების დაუფლება ძალიან დიდ დროს, შრომას, გამძლეობასა და დისციპლინას მოითხოვს. მარტო ნიჭით შორს ვერ წახვალ... მადლობას ვუხდი ჩვენს ყველა პედაგოგს, ქართულ საბალეტო დასს, რომელმაც ოთხი წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად იმუშავა ჩემთან ერთად და ბევრი ახალი სპექტაკლი შესთავაზა ქართველ მაყურებელს. დღეს უკვე გაჩნდა ინტერესი უცხოეთის მხრიდან... მსოფლიო საბალეტო რუკაზე ქართული საბალეტო დასიც დაფიქსირდა...“– სიამაყით აღნიშნა პრიმა-ბალერინამ.

დარბაზი ყურადღებით უსმენდა ქალბატონი ნინოს გულწრფელ, საინტერესო საუბარს და აღფრთოვანებით შესცქეროდა ეკრანს, სადაც თავდავიწყებით ცეკვავდა მართლაც და ცეკვის დედოფალი, რომელიც განუმეორებელი გრაციოზულობითა და არტისტიზმით ასრულებდა ოდეტა-ოდილიას, ავრორას, ჟიზელის, ჩელიტას... პარტიებს.

მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავი დღესაც ახალი ტალანტების ძიებაშია და სჯერა, რომ ქართული საბალეტო ხელოვნების წიაღიდან მომავალშიც არაერთი ვარსკვლავი ამობრწყინდება, რომელიც ქალბატონი ნინოს გამარჯვებებს გაიმეორებს, გაამდიდრებს და თავისი ოსტატობით კიდევ ერთხელ განაცვიფრებს მსოფლიოს.

თამარ მარუაშვილი

„თბილისის უნივერსიტეტი“, 30 აპრილი, 2008

იბეჭდება შემოკლებით

„ამ დასს პოეტური სული და სითბო გააჩნია"

თებერვალსა და მარტში საბალეტო დასს ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მოუხდა გამოსვლა სხვადასხვა სცენებზე. ბერკლის, სანტა ბარბარას, ლოს ანჟელესის, ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, აიოვასა და მინესოტას პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში დასმა 21 სპექტაკლი გამართა. საგასტროლო პროგრამაში შეტანილი იყო ორი კლასიკური ბალეტი – „ჟიზელი" და „დონ კიხოტი" და ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა (ბალანჩინის „ჩაკონა", „Duo Concertant", ალექსეი რატმანსკის „ვარიაციები", „სიზმრები იაპონიაზე" და იური პოსოხოვის „საგალობელი").



გასტროლზე საკუთარ მოსაზრებებს გვიზიარებენ წამყვანი სოლისტები:

დავით ხოზაშვილი: მოცეკვავეების იმ ჯგუფმა, რომელიც ითვლება დასის ბირთვად (არ ვგულისხმობ მხოლოდ სოლისტებს) საკმაოდ კარგად იმუშავა, რომ დასის სახე მაღალ დონეზე ყოფილიყო წარმოდგენილი.

წარმატება ჰქონდა ბალანჩინის "Duo Concertant"-ს, კლასიკურ ბალეტებს, „საგალობელს"... ეს ბალეტი მეც ძალიან მომწონს. პირველი რეპეტიციიდან ჩემთვის ცხადი იყო, რომ თანამედროვე კლასიკურ ბალეტზე ვმუშაობდით ქართულ მელოდიებზე. ქორეოგრაფიაზე მეტად თავად ქორეოგრაფის – იური პოსოხოვის დამოკიდებულებით ვარ მოხიბლული. ბევრ ქალაქში, ბევრ სცენაზე გვქონდა გამოსვლა, მაგრამ ნიუ-იორკში, ბერკლის მუსიკალურ აკადემიაში გამოსვლას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ფარდის აწევამდე უკვე იგრძნობოდა, რომ სულ სხვა მაყურებელი იჯდა დარბაზში, ატმოსფეროც რაღაც სხვანაირი იყო. ამან უფრო აგვაღელვა. სპექტაკლებიც აქ, ვფიქრობ, ყველაზე წარმატებული გამოგვივიდა. მაყურებელზე როცა ვსაუბრობ, ვგულისხმობ მათ შინაგან კულტურას. ისინი მოდიოდნენ იმისთვის, რომ ენახათ ლამაზი სპექტაკლი და იმდენად კარგად აკვირდებოდნენ მოცეკვავეებს, რომ სპექტაკლის შემდეგ გარეთ გამოსულ კორდებალეტის იმ მოცეკვავეებსაც უღიმოდნენ, რომელიც განსაკუთრებულად მოეწონათ სპექტაკლში.

ვასილ ახმეტელი: ეს გასტროლები, შეიძლება ითქვას ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო ჩემს ცხოვრებაში. საზღვარგარეთ გამოსვლა – ეს დიდი პასუხისმგებლობაა საკუთარი თავის, ქვეყნისა და ჩვენი კულტურის წინაშე. მუშაობა გვიწევდა დაუსრულებლად – პირდაპირ ავტობუსიდან შევდიოდით დარბაზებში, სცენაზე. სპექტაკლები ყოველ დღე გვქონდა. ხუთი კვირის განმავლობაში 16 სპექტაკლი ვიცეკვე. იყო წარმატებებიც და იყო კრიტიკაც, რაც ბუნებრივია. მაგრამ ამერიკელი მაყურებელი მიეჩვია და დაიმახსოვრა ჩვენი გვარები. ძალიან თბილად გვხვდებოდნენ ყველგან.

ნინო გოგუა: ამ გასტროლმა ჩემი, როგორც მოცეკვავის პროფესიულ ზრდაზე დიდი გავლენა იქონია. განსაკუთრებით ვღელავდი ნიუ-იორკში გამოსვლის დროს, რადგან აქ, ამ მაყურებლის თვალწინ შეიქმნა ბალანჩინის ბალეტების უმრავლესობა. ვფიქრობ, შევძელით კარგად წარმოგვეჩინა ჩვენი შესაძლებლობანი. ერთ-ერთ რეპეტიციას ბალანჩინის ფონდის ხელმძღვანელი ქალბატონი ელენ სორინი დაესწრო და გაკვირვებული დარჩა – ბალანჩინის სკოლა არ გაგივლიათ და როგორ ასრულებთ ასე ზუსტად მის მოძრაობებსო. სპექტაკლზე სპეციალურად მოვიდნენ ის პატარა ბალერინები, რომელთან ერთადაც შარშან ჯაკობს ფილოუში „მოცარტიანა“ ვიცეკვე. ერთი იაპონელი გოგონას და შარშან იაპონიაშიც მესტუმრა. მოვიდა მაყურებლები, რომლებმაც გასულ წელს ნიუ ჰევენში ნახა ჩვენი სპექტაკლები. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი დასი უკვე იძენს მუდმივ მაყურებელს საზღვარგარეთ.

ლაშა ხოზაშვილი: ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი გასტროლი, რადგან ერთ თვეს გრძელდებოდა და ამერიკის პრესტიჟულ სცენებზე გვიწევდა გამოსვლა. განსაკუთრებულად ვღელავდი სტრავინსკის “Duo Concertant”-ის შესრულების წინ. პრემიერის შემდეგ თითქმის ორი სეზონი არ მიცეკვია ბალანჩინის ეს შედევრი და თან ნიუ-იორკში მიწევდა გამოსვლა, სადაც ბალანჩინს კარგად იცნობენ. რეპეტრიციაზე ბარტ კუკმა, რომელმაც დადგა ეს ბალეტი თბილისში, ჩვენი შესრულება რომ ნახა, გვითხრა, რომ კარგ ფორმაში ვიყავით. ამან სტიმული მოგვცა. საერთოდ, ბარტი ისეთი ადამიანია, ყველანაირ ნერვიულობას უცებ გიხსნის.

ძალიან საპასუხისმგებლო სპექტაკლი მქონდა ჩიკაგოში. „დონ კიხოტი“ ვიცეკვე ABT-ის სოლისტთან ხიომარა რეიესთან. კარგი პარტნიორია, მშვიდი. ამავე დროს კარგი ადამიანიც. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

უამრავი მაყურებელი მოდიოდა სპექტაკლებზე, მათ შორის ქართველები. ჩვენი პროგრამა მოწონებით სარგებლობდა. განსაკუთრებით კარგად ხვდებოდნენ „საგალობელს“. მაგრამ, მე ის უფრო გამიხარდა, რომ ამ ლამაზ ბალეტს თბილისში ჰქონდა დიდი წარმატება. აქაური მაყურებლის აზრი უფრო გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია ჩემთვის.

ნინო გოგუა,
ლაშა ხოზაშვილი
DUO CONCERTANT
ნიუ-იორკი

გასტროლმა დიდი წარმატებით ჩაიარა, რასაც მოწმობს ამერიკული პრესა, სადაც ფართოდ გაშუქდა დასის გამოსვლები. ამ პუბლიკაციების დაიჯესტს ქვემოთ გთავაზობთ.

San Francisco Chronicle

რეიჩელ ჰოვარდი, 16 თებერვალი, 2008

ვარსკვლავმა ბალერინამ აღორძინა ქართული საბალეტო დასი

ის დახვეწილი ტალანტები, რომლებიც ანანიაშვილმა ჩამოიყვანა, უბრალონი არ არიან. ნინო გოგუამ და ლაშა ხოზაშვილმა შეასრულეს ბალანჩინის ერთ-ერთი შესანიშნავი ბალეტი სტრავინსკის მუსიკაზე "Duo Concertant". გოგუა მოხდენილი მოცეკვავეა, მკვეთრი და სრულად აკონტროლებს თავის მოძრაობებს. ხოზაშვილი არა მარტო ეფექტურია სცენაზე, არამედ კონტრასტულიც და კულმინაციურ ნაწილში მხურვალე შეყვარებულიც. რატმანსკის „ვარიაციებში" (რომელიც ბიზეს ქრომატიულ ვარიაციებზეა დადგმული, პიანისტი ჯონ პარი) ანანიაშვილის ხუთი პარტნიორი ღირსეულად გამოიყურებოდა მის ფონზე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მაია დოლიძისა და ირაკლი ბახტაძის ელეგანტური შესრულება.

იური პოსოხოვი „საგალობლის" მონაწილეებთან ერთად

პოსოხოვის „საგალობელი", რომელიც ქართული ხალხური მუსიკის ჩანაწერზე შესრულდა, უფრო საინტერესოა ალბათ ერთიანი დრამატული ეფექტის მხრივ. ბალეტი ძალიან პლასტიკურია ქალი მსახიობების ფეხის ლამაზი, მოქნილი მოძრაობებით, მამაკაცების ენერგიული ნახტომებითა და ერთმანეთთან კარგად შერწყმული ქალისა და მამაკაცის პარტიებით. ბალეტი შეიძლება ჯერ დასახვეწია, მაგრამ ის კარგად წარმოაჩენს მოცეკვავეების მგრძნობელობას და ეჭვგარეშეა, რომ ისინი ამ პარტიებს უფრო დახვეწენ ამერიკული საგასტროლო ტურნეს განმავლობაში.

Critical Dance

კეტრინ პოვლიკი, 16 თებერვალი, 2008

ბერკლში, ხუთშაბათს საღამოს, ზელერბახის დარბაზში დავესწარი ქართული ბალეტის სპექტაკლს.

პროგრამა ბალანჩინის „ჩაკონათი" გაიხნა. ანა მურადელი ლამაზი, ქერა ბალერინაა ძლიერი, ნატიფი, გრძელი ფეხებითა და გრაციოზული ხელებით. პარტნიორ ვასილ ახმეტელთან ერთად მან შექმნა ლირიკული ფანტაზია, რომლის სერიოზულმა მანერამ დარბაისლური შტრიხი შეიტანა ცეკვაში. მურადელის ლამაზი ხაზები დამატყვევებელია. მისი არისტოკრატულობა და მოძრაობების ელეგანტურობა ხელს შეუწყობს მის წარმატებულ კარიერას.

პროგრამის მეორე ნაწილში – "Duo Concertant"-ში, ბალანჩინის კიდევ ერთ ნაწარმოებში სტრავინსკის მუსიკაზე, შავთმიანი ლამაზმანი ნინო გოგუა უნაკლო ფეხებით, თეთრი მოკლე კოსტიუმით ცეკვავდა, თავის პარტნიორთან ლაშა ხოზაშვილთან ერთად. შეიძლება ითქვას, ის არის ყველაზე გამოცდილი მამაკაცი შემსრულებელი ამ დასში. წყვილის სწრაფმა გადასვლებმა, ემოციურმა ურთიერთქმედებამ, დახვეწილმა ტექნიკამ საღამოს განსაკუთრებულობა შესძინა. მე საათობით შემეძლო მეყურებინა გოგუას ფეხებისათვის. მისი ფეხის მოძრაობების დროს კარგად ჩანდა ნაზი, ელასტიური მუხლები, ძლიერი, როგორც ლითონი. მისმა რამდენიმე მოძრაობამ აჩვენა მისი მოქნილი ზურგიც.

სან-ფრანცისკოს ბალეტის ქორეოგრაფს იური პოსოხოვს ეკუთვნის ბოლო ნაწილი – „საგალობელი", რომელიც ქართულ ხალხურ მელოდიებზე დაიდგა. შედეგად მივიღეთ სურნელოვანი, მიწიერი, ეთნიკური ნაზავი დოლისა და ფლეიტის მუსიკაზე. მან გამოიყენა ძლიერი მამაკაცურობისა და ნაზი ქალურობის კონტრასტი, რათა წარმოეჩინა განუმეორებელი ქართული სული. მამაკაცების ცეკვაში გვხვდება უეცარი მიმართულებების ცვლილებები, მაღალი ნახტომები, რითმული მოძრაობები. ქალების ნატიფი რიტმი უფრო დახვეწილი აღმოჩნდა. მათი ხელების მოძრაობები ქმნიდნენ სილუეტების ჩრდილს უკანა ფარდის ფონზე. ეჭვგარეშეა, რომ სურდათ წარმოეჩინათ თბილისის მზის სითბო. პოსოხოვის ბალეტს ჰქონდა კარგი დასაწყისი, რომელიც გაგრძელდა მგრძნობიარე პა დე დეთი, რომლებსაც ცეკვავდნენ Duo-ს შემსრულებელი გოგუა და ახმეტელი. ამ დასის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ძნელი წარმოსადგენია სხვა მოცეკვავეები, რომლებიც მიაღწევდნენ ასეთ ბალანსს სიმსუბუქესა და სიძლიერეს შორის, ქალურობასა და მამაკაცურობას შორის, ქართული მზით გამთბარი სამხრეთული ტემპებითა და სიყვარულით.

Los Angeles Times

ლევის სიგალი, *25 თებერვალი, 2008*

ქართული საბალეტო დასის „ჟიზელი“

ერთი თვით ადრე, სანამ ნინო ანანიაშვილი 44 წლის გახდება, მან ჟიზელის პარტიას ისეთი გამომსახველი დეტალები, გრძნობები, ნიუანსები შესძინა, რომლებიც ნათელს ხდიან ამ ბალეტის ქორეოგრაფიულ ტექსტს.

ანანიაშვილის სიგიჟის სცენა ტრაგიკულ პიკს აღწევს და მისი ტექნიკური შესრულება ამ მოქმედებაში ხშირად ხდება ემოციისა და ენერგიის გაანაცხადი, რომელიც მისმა პერსონაჟმა ვერ გამოამჟღავნა მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში. როდესაც იგი დგას ალბერის გვერდით, მძიმე განაცდელის დროს, ერთი ხელი ჰაერში მიუნიშნებს მის სულიერ გარდაქმნას – რაც ჟიზელს ყოველთვის დაიცავს ვილისების ძალისაგან.

ვასილ ახმეტელი ალბერის პარტიაში მას მოხერხებულად უწევდა პარტნიორობას. მან დიდი დრო დაუთმო მისგან შეტრიალებას, როდესაც ჟიზელი გაგიჟდება, რათა მისი ტანჯვაც და თავისი ტექნიკაც შეუცდომლად წარმოეჩინა.

ირაკლი ბახტაძე იყო მომხიბვლელი ჰილარიონი. ისეთი ელეგანტური ხაზებითა და ნახტომებით, რამაც მისი ცეკვა უფრო არისტოკრატიულად წარმოადგინა, ვიდრე მისი გმირის სტატუსს შეეფერებოდა. ნინო ოჩიაურმა მირტას პარტიაში კარგად იცეკვა.

NEW YORK POST

კლაივ ბარნსი, *29 თებერვალი, 2008*

მაღალი დონის დასი

ნინო ანანიაშვილი, დიდი თეატრისა და ამერიკის ბალეტის თეატრის პრიმა-ბალერინა, ახლა მხოლოდ საქართველოზე ფიქრობს.

ეს იყო დასი შთამბეჭდავი წარსულით. მე მათ პირველად შევხვდი პარიზში, 40 წლის წინ, და ვნახე ოტელოს დამატყვევებელი ვერსია, სადაც მთავარ პარტიას ასრულებდა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მამაკაცი მოცეკვავე ვახტანგ ჭაბუკიანი.

20 წლის წინ კი ამ დასის შესრულებით ვნახე ბალანჩინის „სერენადა“. ეს იყო პირველი შემთხვევა საბჭოთა კავშირის ისტორიაში, როდესაც დასმა შეასრულა ბალანჩინის ბალეტი. ცოტა ხანში საბჭოთა კავშირი დაიშალა და დასსაც პრობლემები შეექმნა.

ნინო ანანიშვილს დღეს უკვე ჰყავს დასი, რომელიც იმდენად ჩქარა მიიწევს წინ, რომ აშშ-ში საგასტროლო ტურის მოწყობაც კი შეძლეს. ოთხშაბათს მათ ნიუ-ორკში მოკლე სეზონი გახსნეს ბრუკლინის მუსიკალურ აკადემიაში.

პროგრამა მოიცავდა ბალანჩინის ”Duo Concertant”-ის კარგ შესრულებას, 24 წლის მომხიბვლავი ნინო გოგუასა და ლაშა ხოზაშვილის შესანიშნავი წყვილის მიერ.

პროგრამაში ასევე წარმოდგენილი იყო ორი ახალი პრემიერა – ალექსეი რატმანსკის მსუბუქი, მაგრამ სიმპატიური „ბიზეს ვარიაციები“ და ასევე ძალიან სიმპატიური, ფოლკლორული ელემენტებით მომხიბვლელი ბალეტი „საგალობელი“, სადაც ნინო გოგუა კვლავ არაჩვეულებრივი იყო (მისი ბრწყინვალე შერულება მას ნებისმიერ დასში გაუხსნის გზას).

სპექტაკლის შემდეგ ბრუკლინის მუსიკალურ აკადემიაში
ბარტ კუკთან და მარია კალეგართან ერთად

The New York Times

ალისტერ მაკოლი, *29 თებერვალი, 2008*

განახლებული ქართული სახელმწიფო ბალეტი თავის შესაძლებლობებს აჩვენებს

ანანიაშვილის მუშაობის შედეგად, ქართული დასი საკუთარ საცეკვაო ოსტატობას, სტილს საკმაოდ ფლობს. ეს მოცეკვავეები სუფთად ცეკვავენ, იმ გაზვიადების გარეშე, რომელიც კიროვისა და დიდი თეატრის ბალეტის ბევრ მოცეკვავეს ახასიათებს. ამასთან, მათ ძლიერი ტექნიკაც გააჩნიათ

ბალანჩინის “Duo Concertant”-ში, რომელიც მუსიკალურობის სხვადასხვა აღქმას ითხოვს, ნინო გოგუა და ლაშა ხოზაშვილი საუკეთესოდ ჩანდნენ. ხოზაშვილის რისკიანმა და იმპულსურმა შესრულებამ ქორეოგრაფია გამოაცოცხლა, გოგუამ კი სირბილე, შესრულების სიიოლე და ელვარება აჩვენა.

ExploreDance.com

ლორი ორტისი, *1 მარტი, 2008*

საქართველოს სახელმწიფო ქართული ბალეტი – ჩაკონა, DUO CONCERTANT, ბიზეს ვარიაციები, საგალობელი და სიზმრები იაპონიაზე

„სიზმრები იაპონიაზე“ – ეს არის ეგზოტიკური ბალეტი, რომლის პრემიერაც 1998 წელს შედგა რუსული ბალეტის ვარსკვლავების მონაწილეობით, რომელთა შორის ნინო ანანიაშვილიც იყო. ფერად კიმანოებში ჩაცმული მოცეკვავეების უცნაური რიცხვი საინტერესო, ასიმეტრიულ ლექსიკონს ქმნის. თანამედროვე ბალეტის ფორმები, დოლი და მათი შემსრულებლების კოდოს ვოკალი, რომელიც ამჟამად შეასრულეს ორკესტრანტებმა, იაპონურია.

6 ცეკვიდან ერთ-ერთი არის დოჯოჯი. ანანიაშვილი გადაიქცევა ცეცხლოვან გველად მას შემდეგ, რაც მას მიატოვებს შეყვარებული. მას წითელი კომბინიზონი აცვია და გრძელი მოსასხამით ცეკვავს, რომელსაც შავი ბახრამა აქვს. ერთი შავი, ერთი წითელი ხელთათმანი მისი გაშლილი თითებიდან სიბრაზეს აფრქვევს... აქ არის ლომის საახალწლო ცეკვა, სადაც მამაკაცი ძალის გამოცლამდე ცეკვავს და მერე კვდება. შავებში ჩაცმული ირაკლი ბახტაძე ხორცშესხმული სიკვდილის ფიგურად შეიძლება მივიჩნიოთ. ყველაფერი ეს ნაცეკვი იყო მზის დეკორაციის ფონზე, რომლის ფერი თითოეული ცეკვის დროს იცვლებოდა. ისინი ყველანი იდგნენ და ერთად ადევნებდნენ თვალს მამაკაცი სოლისტის წრიულ ცეკვას.

დასის მიერ 4 წელიწადში ძნელად მიღწეული წარმატებები კარგად არის გახმოვანებული ნიუ-ორკში. მათ მომავალ გასტროლებს ბამში უკვე სულმოუთქმელად ელიან. ბამის სცენა ამ დასისთვის იდეალურია.

ბლუმბერგის სიახლეები

29 თებერვალი, 2008

მშვენიერი სხეულითა და სახით ანანიაშვილი ქართულ ბალეტს შთააგონებს

ქართულმა საბალეტო დასმა ნიუ იორკში სრულყოფილად გაწვრთნილი სხეულების დემონსტრირება მოახდინა და იმის გაკვეთილი აჩვენა, თუ როგორ ათანაბრებს სკურპულოზური სისწორე უმაღლესი დონის ცეკვისთვის საჭირო რისკს.

დასმა ბალანჩინის Duo Concertant შეასრულა. წარმოდგენას ოდნავ აკლდა ბალანჩინის ქორეოგრაფიის კანონების ცოდნა, მაგრამ ორი მოცეკვავისაგან – ნინო გოგუასა და განსაკუთრებით ლაშა ხოზაშვილისაგან – ბალეტის ძლიერი შესრულება ვიხილეთ.

ბიზეს ქრომატიულ ვარიაციებზე დადგმული ბალეტი ფორმალურად სიქსტეტია სამი წყვილისათვის. ანანიაშვილს არ დასჭირვებია თავისი ტექნიკის გამომჟღავნება. იგი ჩანს როგორც მოფლირტავე, ამავე დროს თავისი ძირითადი პარტნიორის, ვასილ ახმეტელისადმი ერთგული. ბალეტის განმავლობაში იგი ხდება ძალიან მომხიბვლელი და ნაზი, როგორც ვარდი, რომელიც ყვავის. ეს ცეკვა მას საშუალებას აძლევს გამოხატოს იდუმალი მწუხარება, რათა იგი უფრო მიწიერი იყოს.

The Star-Ledger

რობერტ ჯონსონი, *1 მარტი, 2008*

43 წლის ანანიაშვილის მიმზიდველი სხეული, ბალანჩინის ცეკვის მანერა და დიდი ოსტატობა განსაკუთრებულად კარგად ჩანს მსუბუქ, უბრალო, პატარა ნახტომებში. მისი ინდივიდუალურობა კი ინტრიგას მატებს ცეკვას, ზედმეტი დრამატიზირების გარეშე. მისი მშვენიერი სხეული იდეალურად უხდება პარტიას, რომელშიც ბალანჩინი წარმოაჩენს ბალერინის სხეულის მხარეებს.

ბალანჩინის Duo Concertant-ში ხოზაშვილი გამორჩეულია, მშვენივრად სწრაფი, დახვეწილი და სრულყოფილი. თუ იგი და საქართველოს სახელმწიფო ბალეტის წევრები ამ გზით გააგრძელებენ ბალანჩინის ცეკვას, ისინი მიიღებენ მოცეკვავის უდიდეს ჯილდოს – აღმოაჩენენ საკუთარ თავს თავიანთ შესრულებაში.

THE NEW YORK OBSERVER

რობერტ გოტლიბი, 4 მარტი, 2008

გრძელი გზა საქართველოდან ბრუკლინამდე

გოგუა ეფექტური იყო ნამუშევარში სახელწოდებით „საგალობელი“, რომელიც იური პოსოხოვმა, სან-ფრანცისკოს ბალეტის ადგილობრივმა ქორეოგრაფმა ახლახანს შექმნა. „საგალობელი“ უწყინარია, თუ თქვენში სტილი, რომელსაც მე ვეძახი „ეთნიკურ კულტურას პუანტზე“, უარყოფითად არ მოქმედებს. შვიდი მამაკაცი და შვიდი ქალი მეტ-ნაკლებად დაუკავშირებელ ეპიზოდებს ასრულებენ, რომელთაგან ყველა ზოგადი ტიპისაა და ინტერესითა და ამაღელვებლობით ვერ უტოლდება ანსამბლის მიერ შესრულებულ ტრადიციულ ქართულ მუსიკას. მუსიკოსთა სცენაზე გამოჩენისას დამსწრეთა ენთუზიაზმის გამოხატვამ დამსახურებულად მიაღწია უმაღლეს წერტილს. რათქმა უნდა, მაყურებელი, რომელიც ძირითადად ქართული და რუსული კულტურის მოყვარულთაგან შედგებოდა, ამ წერტილზე ბევრად ქვემოთ არც ჩამოსულა.

ანანიაშვილის მიერ შედგენილი პროგრამის ტაქტიკაში ალექსეი რატმანსკის ორი ნამუშევრის ჩამოტანაც შედიოდა. „სიზმრები იაპონიაზე“, ანანიაშვილისა და დიდი თეატრის სხვა ვარსკვლავებისათვის 10 წლის წინ შეიქმნა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუსიკოსები და მოცეკვავეები ერთ სტილში ასრულებდნენ წარმოდგენას. ანანიაშვილი “Musume Dojoji”-ს როლში მოქნილი და მრისხანეა, როდესაც, სატრფოსგან მიტოვებული, ცეცხლის გველად გადაიქცევა და შურს იძიებს. რატმანსკის მიერ შექმნილ ნაშრომში ნიჭის დაბადება ჩანს, და ჩანს, როგორ იმპულსურად მოათავსა ამ ახალგაზრდა ქორეოგრაფმა ყველა შემადგენელი ნაწილი ერთად.

რატმანსკის ახალი ნამუშევრის ყველაზე საინტერესო ნაწილი მუსიკაა, ბიზეს „ქრომატიული ვარიაციები“ (ამ სახელწოდებიდან გამომდინარე ჰქვია ბალეტს „ბიზეს ვარიაციები“). არ ვიცნობ არავის, ვინც ამ გამომწვევ, აღმაფრთოვანებელ მუსიკას იცნობდა. რატმანსკიმ აშკარად ლამაზი ბალეტი შექმნა სამი წყვილისათვის.

დასის მოცეკვავეები ირინა კოლაკოვასთან ერთად

CHICAGO SUN-TIMES

ჰედი ვეისი, 10 მარტი, 2008

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი

პარასკევს საღამოს, აუდიტორიუმის თეატრში, საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა ერთმოქმედებიანი ბალეტების შერეული პროგრამა წარმოადგინა.

ნინო გოგუამ და ლაშა ხოზაშვილმა, დასის ყველაზე საინტერესო და გამოცდილმა მოცეკვავეებმა შესანიშნავად შეასრულეს ბალანჩინის განთქმული “Duo Concertant“ სტრავინსკის რთულ და უმშვენიერეს მუსიკაზე. გოგუამ და ხოზაშვილმა ზუსტად, არაჩვეულებრივი სითბოთი და ბუნებრივად შეასრულეს ეს ბალეტი.

პროგრამის ნამდვილი სილამაზე იყო იური პოსოხოვის „საგალობელი“, სადაც მკაფიოდ იგრძნობოდა მოცეკვავეების ფესვები. ეს ბალეტი ქართულ ნაციონალურ მუსიკაზეა შექმნილი. იური პოსოხოვი აჩვენებს თუ როგორ შეიძლება შეერწყას ნაციონალური მუსიკა ბალეტის ტექნიკას და შეიქმნას დახვეწილი სასცენო სურათი, რომელიც ხაზს უსვავს მამაკაცის სიმკაცრეს და ქალის ვნებიანობას. დაუვიწყარია ბალეტის დასაწყისი, ქალების მწყობრად, თანმიმდევრულად შემოსვლა პუანტებზე, რომლებიც სცენას კვეთენ (რაც ლამაზად იყო განათებული ამირან ანანელის მიერ). მათი მოხრილი ზურგები და გაჭიმული სხეულები უძველეს ბერძნულ ლარნაკებს ჰგავდნენ.

WSJ.com THE WALL STREET JOURNAL. ONLINE

რობერტ გრეშკოვიცი, 5 მარტი, 2008

ანანიაშვილი და საქართველოს სახელმწიფო ბალეტი

ამ დასს გააჩნია პოეტური სული და სითბო. საქართველოს სახელმწიფო ბალეტის ხასიათში, ბალეტის ზუსტი ხელოვნება შენარჩუნებულია და განვრცობილი ფანტაზიის გარეშე და მოაზრებული, როგორც მშვენიერი.

РУССКИЙ БАЗАР

ნინა ალოვერტი, *6-12 მარტი, 2008*

ნიუ-იორკში ცეკვავენ ქართველი მსახიობები

ქართული დასი ბალანჩინს უფრო რომანტიკულად ასრულებს, ვიდრე ნიუ-იორკ სითი ბალე. ქართველი მოცეკვავეები უსიცოცხლოდ, მექანიკურად არ ასრულებენ მოძრაობებს, როგორც ეს ამერიკელ მოცეკვავეებს ახასიათებთ. ბალანჩინის ბალეტების გათავისება გახლავთ იმ წარმატების მიზეზი, რომელიც წილად ხვდა "DUO CONCERTANT"-ს. ნომერს დასის საუკეთესო სოლისტები ნინო გოგუა და ლაშა ხოზაშვილი ასრულებდნენ. ოდესღაც ეს საბალეტო მინიატურა მიხეილ ბარიშნიკოვისა და სითი ბალეს ახალგაზრდა მოცეკვავის შესრულებით ვნახე, რომელიც არ ცდილობდა გაერკვია, რა ხდებოდა ბალანჩინის ამ სევდიან საბალეტო მინიატურაში. მაშინ მთელი შინაარსობრივი დატვირთვა ბარიშნიკოვს დააწვა, რომლის გმირსაც უყვარს ქალიშვილი, რომელიც გრძნობას ვერ გამოხატავს. ამ შემთხვევაში კი ნინო გოგუამ თავის გმირს უფრო მეტი დატვირთვა შესძინა. არ არის ცნობილი, რატომ მიატოვა ამ ნოველის გმირმა ქალმა თავისი შეყვარებული, მაგრამ მისთვის ეს განშორება იძულებითი და ძალიან მტკივნეული იყო. არ შევადარებ ახალგაზრდა ხოზაშვილს ბარიშნიკოვს, მაგრამ ქართველ მოცეკვავეს ახასითებს ისეთი ინდივიდუალობა, რომ მისი ნახვა ყოველთვის საინტერესოა.

პროგრამაში რატმანსკის ძველი ბალეტი „სიზმრები იაპონიაზე" იყო შეტანილი. როგორც ნიუ-იორკელმა მაყურებელმა, მეც ეს ბალეტი პირველად ვნახე. გარკვეულწილად კომპოზიცია „მთვარის პიეროს" წააგავს, რომელიც ბევრად უფრო საინტერესოა. თავიდან სცენაზე გამოდის ყველა მოქმედი პირი, მოხეტიალე დასი. შემდგომში მსახიობები ასრულებენ სხვადასხვა ნოველებს, რომელთა შორის ყველაზე საინტერესო ქალი-გველის გმირია, რომელიც კლავს მამაკაცს. ამ პარტიას შესანიშნავად ასრულებს ნინო ანანიაშვილი. ბალეტის ბოლოს ყველა მონაწილე ერთად ასრულებს კოდას. რატმანსკიმ იაპონურ თემაზე დადგა „თეატრი თეატრში". ცალკე მინდა გამოვყო ლაშა ხოზაშვილის მიერ შესრულებული წეროს პარტია. როგორ ხატოვნად, გამომსახველად, პლასტიკურად ასრულებდა იგი ამ ნომერს! როგორი ნიჭიერი ახალგაზრდაა!

მოულოდნელად სასიამოვნი სიურპრიზი იყო მეორე რუსი ქორეოგრაფის იური პოსოხოვის „საგალობელი". პოსოხოვმა დადგა ქართულ მუსიკაზე ძალიან წარმატებული სიუიტა. პირველივე გამოსვლაში, ნაციონალურ ქართულ კოსტიუმებში გამოწყობილი, პუანტებზე შემდგარი ბალერინები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მამაკაცები ასრულებდნენ თავიანთ ცეკვას ტემპერამენტით, ისე როგორც დამახასიათებელია ქართული ხასიათისათვის. მაყურებელმა ქართველი მოცეკვავეები მხურვალე ოვაციებით გააცილა. მოცეკვავეები არ იყვნენ შებოჭილნი კლასიკური ცეკვის კანონებით და ამიტომ შეძლეს გამოევლინათ თავისი შემოქმედების საუკეთესო თვისებები. მამაკაცური და გამომხატველი დუეტი – ახმეტელი-გოგუა, ულამაზესი ქართული მელოდიები ცოცხალი შესრულებით – ამ ყველაფერმა მაყურებლის გულები დაიპყრო. საერთოდ, მინდა აღვნიშნო, რომ ქართულ დასს ნინოს ხელმძღვანელობით კარგი პოტენციალი აქვს.

CHICAGO SUN-TIMES

ჰედი ვეისი, *7 მარტი, 2008*

ანანიაშვილი ხელახლა დაბადებულ ქართულ სახელმწიფო ბალეტს უძღვება

„დონ კიხოტი", თავისი ესპანური სტილით, ქართველების იდეალური ნამუშევარია. ამ ბალეტშიც, ისევე როგორც ქართულ გარემოში, დიდი ადგილი უჭირავს თეატრალობას. სამმოქმედებიანი კლასიკა, რომელიც ალექსეი ფადეეჩევის მიერ იქნა განახლებული, შეუჩერებელი ცეკვის ზეიმადაც წარმოგვიდგება. მოცეკვავეთა ყველაზე მეტად აღსანიშნავი თვისებებია შთამბეჭდავი სისწრაფე და მსუბუქი შესრულება (თქვენ ვერც ერთხელ ვერ გაიგებთ ნახტომის შემდეგ მათი დაშვების ხმას). ოთხშაბათს, პირველ წარმოდგენაზე, ანანიაშვილმა კიტრის ურთულესი როლი დაუჯერებელი სიმსუბუქით შეასრულა – ის იმდენად ძლიერია, შეიძლება ხშირად იფიქროთ, რომ პარტნიორიც არ სჭირდება, მაგრამ ვასილ ახმეტელი – მუქთმიანი, სიმპათიური და გამხდარი – მშვენივრად შეესაბამებოდა მას ბაზილის როლში.

მშვენიერი საცეკვაო წარმოდგენა შემოგვთავაზეს ნინო მახაშვილმა და ლანა მღებრიშვილმა, კიტრის მეგობრების როლებში; ვერა კიკაბიძემ მერსედესის პარტიაში და ნინო ოჩიაურმა და ლაშა ხოზაშვილმა ტორეადორისა და მისი გოგონას პარტიების შესრულებისას. მარიამ ალექსიძე ყველაზე დელიკატური ამური იყო, ბესარიონ შათირიშვილი კი, გიორგი ტაკაშვილის დონ კიხოტის გვერდით – დიდად გულღია სანჩო პანსა.

ვივი მეტრეველი

ნინო მდივანაძე

მსახიობი ალექსანდრე მეტრეველი, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი ერთ-ერთი (მის ოჯახში სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი გაიზარდა) ქალიშვილი, პატარა ვივი, ოდესმე სახელოვანი ბალერინა გახდებოდა. გოგონა, რომელიც სულ პატარაობიდან ცეკვით ირთობდა თავს, მამამ იმ დროისათვის ცნობილ მარია პერინის სტუდიაში მიიყვანა.

„სტუდია, – იხსენებს ქალბატონი ვივი, – გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარეობდა. იქ მისვლა არაჩვეულებრივ სიამოვნებას გვანიჭებდა მეც და ჩემს მეგობრებსაც. მარია პერინი იყო ძალიან კარგი ადამიანი. მას უსაზღვროდ უყვარდა საქართველო და როდესაც იძულებული გახდა თავის სამშობლოში, ტურინში დაბრუნებულიყო, განიცდიდა. მე, ანა წერეთელი, რუზანა არუთინოვა და იანა იასინსკაია მისი ბოლო მოწაფეები ვიყავით. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენ სამუდამო მეგობრებად შემოვრჩით ერთმანეთს.

მახსოვს იტალიაში გამგზავრებისას მარია პერინიმ სამახსოვრო საჩუქრებიც კი დაგვირიგა, მაგრამ ყველაზე დიდი საჩუქარი საქართველოსთვის მაინც მისი აღზრდილებია, უპირველესად კი ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელმაც ქართული ბალეტი შექმნა. გულდასაწყვეტი იყო, რომ ჩვენ მისი სტუდიის დამთავრებაც კი ვერ მოვასწარით. მაგრამ, საბედნიეროდ, იმხანად ახლადგახსნილ დავით ჯავრიშვილის სტუდიაში გავაგრძელეთ სწავლა. მოვხვდით არაჩვეულებრივი პედაგოგის მარინა კაზინეცის კლასში, რომელიც ორი წლის შემდეგ დავამთავრეთ და ოპერისა და ბალეტის თეატრში გადავედით სამუშაოდ. ფაქტობრივად, დაკავებული ვიყავი თითქმის ყველა სპექტაკლში. ვერ ვიტყვი, რომ წამყვან პარტიებს ვასრულებდი, მაგრამ უამრავ სოლო პარტიას და დუეტს ვცეკვავდი.

დღემდე თვალწინ მიდგას მარია ბაუერის ცეკვა. ის სახასიათო როლების არაჩვეულებრივი შემსრულებელი იყო და ამ ჟანრში მართლაც უბადლო. მისი არც ერთი სპექტაკლი არ გამიცდენია. მაყურებელზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. „კარმენში“ ვახტანგ ჭაბუკიანმა მას ე.წ. „ჩქარი ცეკვა“ მისცა. ჩვენ ჩუმად ვამბობდით, რომ ეს არ არის მისი სტილი, მაგრამ მარუსიამ (ასე ვეძახდით მას) ისე შეასრულა „ჩქარი ცეკვა“, რომ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მარუსიას მოსკოვში გადასვლა ჩვენთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა.

განსაკუთრებული იყო ქართული ბალეტისათვის ვახტანგ ჭაბუკიანის ჩამოსვლა და მისი მოღვაწეობა თეატრში. მან უამრავი სპექტაკლი დადგა. უძლიერესი ხელოვანი იყო, შრომისმოყვარე, არაჩვეულებრივად ვაჟკაცური სცენაზე. მის სპექტაკლებს ყოველთვის სოლიკო ვირსალაძე აფორმებდა. ეს არ გახლავთ უმნიშვნელო ფაქტი. ამ ხელოვანთა სინთეზი ქმნიდა ულამაზეს სანახაობას, რომელსაც ეთაყვანებოდა მაყურებელი. მიუხედავად ომის წლებისა, თეატრს არ აკლდა მაყურებელი. და რაც მთავარია, გემოვნებიანი, კულტურული მაყურებელი. ვახტანგ ჭაბუკიანის ყოველი სპექტაკლი ნამდვილი ზეიმი იყო.

ვერა წიგნაძე, სრულიად განსხვავებული და გამორჩეული სახეა ქართულ ბალეტში. ნამდვილი პრიმა-ბალერინა, არაჩვეულებრივი მსახიობი. ვახტანგ ჭაბუკიანი მის გარეშე არ დგამდა თითქმის არც ერთ სპექტაკლს. არასოდეს დამავიწყდება მისი მონოლოგი „ლაურენსიას“ ფინალში. ვერამ მართლაც დაუვიწყარი სახეები შექმნა ქართულ ბალეტში.

ვახტანგ გუნაშვილს, ნიჭიერ და შრომისმოყვარე ადამიანს ქორეოგრაფიული სასწავლებელი არ დაუმთავრებია, მაგრამ მან უდიდეს წარმატებას მიაღწია ბალეტში. ის ქართული ცეკვების დიდოსტატი იყო. მას ქართულ ცეკვებში უჩვეულოდ კარგი პარტნიორი ჰყავდა, ძალიან ლამაზი და მომხიბვლელი ალა დვალი.

უნიჭიერესი ადამიანი იყო რეზო მაღალაშვილი. რეპეტიციებიდან გამოსულები ოპერის ბაღში ვისვენებდით ხოლმე. იგი იმდენად ნიჭიერი იყო, იქაც კი არ ისვენებდა, ცეკვავდა, რაღაც ვარიაციებს დგამდა. და როცა აღმოაჩინეს, რომ ის არაჩვეულებრივად ნიჭიერი იყო, თეატრში მიიწვიეს და თეატრის სოლისტი გახდა“.

ვივი მეტრეველი კლასიკური ბალეტის თაყვანისმცემელია, მაგრამ როგორც თავად აღნიშნავს, ძალიან მოსწონს ნიჭიერად დადგმული თანამედროვე ბალეტი. ამ მხრივ გამორჩეულად გიორგი ალექსიძის შემოქმედებას ეთაყვანება და მის დადგმებს ყოველთვის უდიდესი სიამოვნებით უყურებს. ქართული და არა მარტო ქართული ბალეტის მშვენების – ნინო ანანიაშვილის შესახებ კი ქალბატონი ვივი განსაკუთრებული სიყვარულით გვიამბობს. მას საოცარი სიზუსტით ახსოვს ჯერ კიდევ პატარა ნინოს ყოველი წარმატება, ქალბატონი ვივი ხომ მის პირველ გულშემატკივართა რიცხვში იყო და დღემდე უზომოდ ხარობს მისი და ქართული საბალეტო დასის წარმატებებით.

მარია პერინის აღზრდილები: (მარცხნიდან მარჯვნივ) რუზანა არუთინოვა, ვივი მეტრეველი და იანა იასინსკაია

ბექარ მონავარდისაშვილი

გარდაიცვალა ქართული ბალეტის ერთ-ერთი თვალსაჩინო მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი ბექარ მონავარდისაშვილი. იგი ათეული წლების განმავლობაში გვერდით ედგა ქართული ბალეტის ფუძემდებელს ვახტანგ ჭაბუკიანს. თეატრში მოსვლის დღიდან სულ მალე მან დაიმსახურა წამყვანი პარტიების შესრულება კლასიკურ ბალეტებში. მის სახელთანაა დაკავშირებული ქუთაისის საბალეტო დასის აღმავლობა. აქ მან დადგა ა. ბალანჩივაძის „მთების გული“, შ. დავიდოვის „ვეფხი და მოყმე“, „ზვიადაური“, ვ. აზარაშვილის „ხევისბერი“ და სხვა ბალეტები. ბოლო წლებში იგი ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასს ხელმძღვანელობდა.

ბექარ მონავარდისაშვილი ბოლო წლებში ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მუშაობდა. სწორედ იქ გავიცანი იგი, რომელმაც თავიდანვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ის იყო არა მხოლოდ ბალეტმაისტერი, არამედ დიდი ხელოვანი, უდიდესი ინტელიგენტი. ბათუმის საბალეტო დასში ბალეტის პროფესიონალი მსახიობები არ ვიყავით, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ქორეოგრაფიასთან მხოლოდ ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლში მიღებული გამოცდილება გვაკავშირებდა. ამიტომ, ადვილი წარმოსადგენია, რა რთული საქმუშაოს შესრულება მოუწევდა ბატონ ბექარს. რეპეტიციებზე საკმაოდ მომთხოვნი იყო. სულ ერთ რამეს გვიმტკიცებდა – მთავარია გქონდეთ სურვილი და გიყვარდეთ მუშაობა, გამოიჩინოთ გამძლეობა და შედეგს აუცილებლად მიაღწევთ. ასეთი მუშაობით მან შეძლო ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში ოთხი საოპერო სპექტაკლის (სადაც საბალეტო სცენები მაღალ დონეზე იყო წარმოდგენილი) და ორი საბალეტო სპექტაკლის დადგმა. კარგად მახსოვს ქალბატონმა ვერა წიგნაძემ, რომელმაც ნახა ჩვენი სპექტაკლი, თქვა: „ბექარმა შეუძლებელი შეძლო. ააცეკვა ადამიანები, რომლებმაც არ იცოდნენ რა იყო პუანტი, ადაჟიო, პა დე დე, ვარიაცია და სრულებით გაუგებარი იყო მათთვის საბალეტო ტერმინოლოგია“. მართლაც, ხშირად გვეკითხებოდნენ – ტერმინოლოგიის გარეშე როგორ სწავლობთ მოძრაობებს? გაღიმებულები ვპასუხობდით, რომ ბატონი ბექარი ყოველ მოძრაობას გვიმარცვლავდა და ჩვენც ვცდილობდით განმეორებას. ხშირად არ გამოგვდიოდა, მაგრამ რკინისებური ნებისყოფით იტანდა ამას. იგი ჩვენი უფროსი მეგობარი იყო, რომელთანაც შეგვეძლო ნებისმიერ თემაზე, პირად პრობლემებზე საუბარი. მე მისი დიდად მადლიერი ვარ, რომ დღეს საშუალება მაქვს თბილისის საბალეტო დასში ვმუშაობდე.

გიორგი ჩხაიძე
საბალეტო დასის მსახიობი

კასიო. „ოტელო“

Future Ballet Starts Picked Out in Tbilisi

On April 24 the Tbilisi Opera and Ballet State Theatre hosted the ceremony of awarding the first prize-winners of "Star", the international ballet prize commissioned by the well known Swiss jeweler Gilbert Albert and Nina Ananiashvili, and thousands of spectators. The first act of the gala concert was dedicated to the ballet "Sagalobeli" ("Canticle") set to the Georgian melodies. The second act was opened by the prize-winners. Yevgenia Obraztsova and Lasha Khozashvili performed the Pas de deux from the second act of "Giselle". The prize-winners also performed the Pas de deux from "Don Quixote". The gala-concert program also offered several ballet duets of Balanchine: "Tarantella" (Nino Ochiauri and David Khozashvili), "Chaconne" (Ana Muradeli and Vasil Akhmeteli), "Tchaikovsky Pas de deux" (Lali Kandelaki and Irakli Bakhtadze). The "dying swan" performed by Nina Ananiashvili was a real astonishment. The prize awarding was followed by splendid fireworks.

Ashton's Ballets' Premiere in Tbilisi

Inviting the spectators at the end of the theatrical season to the Ballet Company's premiere has become a tradition. The Company has already prepared an interesting, original repertoire, with the classical heritage, Balanchine and modern choreographers being represented in abundance. This time Frederic Ashton's ballets were opted on.

On May 9 the premiere of Ashton's ballets was held. The performance was opened with a one-act ballet followed by several miniatures and the ballet "Marguerite and Armand".

Ashton's one-act ballet "Birthday Offering" was staged by Christopher Carr in Tbilisi. In the interview with the "Arabesque" the ballet master declared: "I have never danced in this ballet but have always been observing it. It's already 10 years since this ballet has not been included in the repertoire of the Royal Ballet and there are not many companies that have staged it. The performance we staged in Tbilisi is the most approximated version to the original. I am satisfied with the Company. In course of working on their roles the dancers have performed the same movements differently and now I'm working on correcting such nuances. I am satisfied with Lali Kandelaki. She is a very good ballerina indeed. It was interesting to work with Lasha Khozashvili."

Anthony Russell-Roberts: "Marguerite and Armand" is a Ballet for the Great Dancers"

Anthony Russell-Roberts, the Administrative Director of the Royal Ballet, paid a second visit to Tbilisi. In 2006 he attended the premiere of "The Two Pigeons"; this time he has arrived to attend the premiere of the Evening of Frederick Ashton's Choreography. In conversation with "Arabesque" he said: "Many theatres have applied for the license for "Marguerite and Armand" but we have not satisfied all of them. Firstly, we study the level of the company and afterwards determine the level of dancers. We have rejected the request of many companies, though, in case of Nina Ananiashvili we granted it without any hesitation. This ballet is intended for great dancers. Thus, a big festivity lies ahead for the spectators at the stage of Tbilisi Opera and Ballet Theatre. I believe that Nina has offered a good interpretation".

Tours in the USA

In February and March the Ballet Company performed at various prestigious stages for more than one month. The company held 21 performances on the stages of the concert halls in Berkeley, Santa Barbara, Los Angeles, New York, Chicago, Iowa and Minnesota. The program for the Tour included two classic ballets "Giselle" and "Don Quixote" and the program of one-act ballets (Balanchine's "Chaconne", "Duo Concertant", Alexei Ratmansky's "Bizet Variations" and Yuri Possokhov's "Sagalobeli" ("Canticle")). The Tour was a great success as confirmed by the US press which widely covered the performances of the Ballet Company. The digest from the US press is included in the magazine.

Summary

Grant Coyle: Marguerite and Armand Will Be Successful



Grant Coyle, the balletmaster of the Royal Ballet staged several Pas de deux and the one-act ballet "Marguerite and Armand" in Tbilisi. The balletmaster shared his views with "Arabesque" before the premiere: "It was Nina Ananiashvili who decided to stage the Ashton Program. We knew her very well as she used to dance Ashton's ballets in Covent Garden. Later two ballets "La Fille Mal Gardee" and "The Two Pigeons" were staged in Tbilisi.

"Marguerite and Armand" is a very important ballet in Ashton's heritage. Nina Ananiashvili is the fourth ballerina who will perform Marguerite's role. The interpretation of this role will be up to her individualism.

In January we worked on it for ten days and afterwards the soloists continued working without me. In April we resumed further refining of the details for three weeks and started performing on the stage and making the synthesis with the lighting and decorations. I am satisfied with the work of the artists. I think that the ballet will be successful".

Nina Ananiashvili's Performance in New York

On May 19 the American Ballet Theatre opened the Spring season by the gala concert. A grand ballet performance was held in the Metropolitan Opera in which the soloists invited by ABT participated. Nina Ananiashvili and Angel Corella danced the Pas de deux from "Giselle". For the Spring season the Prima Ballerina starred in several other performances in the Metropolitan Opera.

The Graduation Evening of the Choreography School

On June 13-14 the V. Chabukiani State School of Ballet Art held the traditional annual graduation evening. The program consisted of three parts. The class-concert staged on the Strauss music by Nukri Maghalashvili was followed by the fragment of the second act of P. Tchaikovsky's "Swan Lake" performed by the students of the School. Odette-Odile's role was performed by the graduate of the School Ana Gorgiashvili. Her partner was David Ananeli, the artist of the Ballet Company. Nukri Maghalashvili, the choreographer staged the one-act ballet "Cinderella's Dream" (Libretto by Medea Maghalashvili) for the event.

Ana Gorgiashvili and Ana Albutashvili performed the role of Cinderella. The role of the young man was performed by Lasha Khozashvili, the leading soloist of the Ballet Company and David Ananaeli, the artist of the Ballet Company.

Nukri Maghalashvili was the balletmaster for the graduation evening.

Meeting in Tbilisi State University

On April 15 at the initiative of Giorgi Khubua, the Rector of the Tbilisi State University, Prima Ballerina Nina Ananiashvili visited the University. Students and Professors were keenly listening to Ms. Ananiashvili's frank, interesting speech. Fragments from the ballets, in which Prima Ballerina performed with grace and artistry, were shown to the audience.

Charity

Nina Ananiashvili has been supporting the Infant House #1 in Tbilisi for several years already. On June 1st, in connection with the Child Protection Day the Infant House was donated with summer clothes, linens, various hygienic means and sweets on behalf of Nina Ananiashvili. The Administration of the House and teachers expressed their immense gratitude for the care shown by the Prima Ballerina.